საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 მარტი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ერთი დღის 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი ბოლო გვერდზე ერთ სტრიქონში 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 15×2 სტრიქონი ერთ. 100 მანეთი. სხვა განცხადებები არ ღებულობს. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, მუხრანული ხიდთან [illegible] 18-იან. ტელეფონი 16—62

№ 53 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 53

პირველი ქართული კინო-დრამა გადაღებული ქ. ტფილისში, შესრულებული ადგილობრივი მსახიობების მიერ

კინემო „მინიონი"
მ/წ მარტის
7, 8, 9 და 10-ში

ქრისტინე

დაწვრილებით იხილეთ სხვა განცხადებებში და აფიშებში

კინო-დრამა 4 მოქმედებათ **ეგ. ნინოშვილის** რომანიდან გადმოღებული.

დადგმა და ინსცენიროვკა რეჟისორ **ალ. წუწუნავასი.** (845—1—1)

კვირას, 7 მარტს, სოფ. ქვემო სურებში მოხდება დაკრძალვა

ბესარიონ (ბესო) მახარებლის ძე რამიშვილის

და მისი საყვარელი შვილის

ანთიმოზ ბესარიონის ძე რამიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნატალიას ასული, ვასილი, დავითი, ისიდორე და იაკობ ბესარიონის ძენი, კალინე, ოლღა, მარუსია და ლიდა რამიშვილები. (ნ. 1—1)

კვირას, 7 მარტს, სოფ. ქვემო სურებში მოხდება დაკრძალვა

ბესარიონ (ბესო) მახარებლის ძე რამიშვილის

და მისი საყვარელი შვილის

ანთიმოზ ბესარიონის ძე რამიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს ღრმად დამწუხრებულნი ნოე ბესარიონის ძე, მარო ქაიხოსროს ასული, მზიკო და კიკო ნოეს ძენი რამიშვილები. (ნ. 1—1)

ნიგოითის თემის ხმოსანთა საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მისი საუკეთესო წევრი

დავით კოსტანტინეს ძე კალანდარიშვილი

დაკრძალვა დანიშნულია სოფ. ნიგოითში, კვირას, შვიდ მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. (836 1—1)

ნიგოითის კოლლექტივი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა მისი საუკეთესო წევრი

დავით კოსტანტინეს ძე კალანდარიშვილი

დაკრძალვა დანიშნულია სოფელ ნიგოითში კვირას, 7 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე. (836 1—1)

ნიგოითის მასწავლებელთა კავშირი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა მისი საუკეთესო წევრი ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორი

დავით კოსტანტინეს ძე კალანდარიშვილი

დაკრძალვა დანიშნულია სოფ. ნიგოითში კვირას, 7 მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე. (836 1—1)

დიმიტრი და სიმონ ექვთიმეს ძენი და ივლიტა ლუკას ასული კალანდარიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ უდროოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მაზიშვილი ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორი

დავით კოსტანტინეს ძე კალანდარიშვილი

დაკრძალვა დანიშნულია სოფ. ნიგოითში კვირას, 7 მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე. (836 1—1)

უბედური მამა კოსტანტინე ენუქის ძე, დები ლიუბამილა და ალექსანდრა, ძმები სიმონი და კრიტონი უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ გამოსტაცა მათ მათთვის დაუვიწყარი ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორი

დავით კოსტანტინეს ძე კალანდარიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ნიგოითში, კვირას, შვიდ მარტს, ნაშუადღევს 4 საათზე. (825 —2)

გრ. ტ. გიორგაძე ოჯახობით და [illegible] ტ. გიორგაძე [illegible] ღრმად მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა საყვარელი დედა მათი

იზრუხტი მერაბის ასული გიორგაძისა

გასვენება სადგურზე ორშაბათს საღამოს 5 საათზე ინგლისის ქუჩიდან, სახლი № 4; დაკრძალვა ქუთაისში შაბათს, 6 მარტს, დილის 10 საათზე. (829 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ეკატერინე ნიკოლოზის ასული და ნიკოლოზ ილიას ძე ბერეჟიანები აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ დღეს, შაბათს 6 მარტს რკინის გზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის საყვარელი შვილის

კ ო ტ ო ს

სულის მოსახსენებლად. (844 1—1)

მ. ა. ღაშონია ღებულობს განცხადებებს

გაზ. „ერთობასა" და „ბარბის" რედაქციებისათვის ხელსაყრელ პირობებში. ადრესი: სასამართლოს ქ. № 52. შესასვლელი არშაკუნევის ტუპიკით. ტელეფ. 9—25.

კანტორა „განათლება" ტელეფ. 3—44. (0—1)

ქეთევან და ნინა კალანდარიშვილები და [illegible] და ალექსი [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ სოფ. ნიგოითში უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი ბიძა

დავით კოსტანტინეს ძე კალანდარიშვილი

დასაფლავება მოხდება სოფ. ნიგოითში, კვირას, 7 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. (831 1—1)

გულდამწვარი მშობლები ავრელიანე თავამისა და სოლომონ თავამი (ობოლი მუშა) აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 7 მარტს 12 საათზე დიდუბის ტაძარში გადახდილი იქნება მათი საყვარელი შვილის

პ ა კ ი ს

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. (858 2—1)

საქართველოს ექიმთა თანაშემწეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 2 მარტს გარდაიცვალა კავშირის [illegible] თავმჯდომარე და სასიქადულო ამხანაგი

ალექსი გრიგოლის ძე კოვალიშვილი.

პანაშვიდები ყოველ საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კვირას, 7 მარტს, დილის 9 ს., ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. გამოსვენება— ვარდისუბნის ქუჩა, № 4. (853—2—1)

კავკასიის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის მთავარი გამგეობა გულითადი მწუხარებით აუწყებს თავის წევრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2 მარტს გარდაიცვალა კავშირის წევრ—ექიმის თანაშემწე

ალექსი გიორგის ძე კოვალიშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 ნახ. საათზე. ვარდისუბნის ქუჩა, № 4 გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან—კვირას, 7 მარტს, დილის 9 საათზე (854—2—1)

ღრმად [illegible] ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 7 მარტს, დღის 12 საათზე, სამების სობორში გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი შვილის

ნ ი ნ ო ს (მინიკოს)

სულის მოსახსენებლად. (849—1—1)

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს 9 მარტს

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ცნობილი ზღაპარ ფეერია, ი. გედევანიშვილის I ნაწილი.

სინათლე

7 სურ.

მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, ხორო და ბალეტი მაკარიევის ხელმძღვანელობით.

მსახიობნი: აბაშიძე ე., ბოკვაძე მ., ცომაიაძე ელ., ანჯაფარიძე ა., ჩხეიძე ა., მაჭავარიანი ნ., ნინიძე; გამყრელიძე გ., შავიშვილი მ., ციციშვილი ნ., ფრანგიშვილი პ., ლომთაძე შ., მატარაძე გ., ქავთაძე ი., ვასაძე ა., სარჩიმელიძე გ., სარაჯი მ., ნაგუშაია ნ., სოფიაშვილი ბ., თარხნიშვილი და სხვ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 7 ნახ. საათზე (ნ. 3—1)

გავხსენით ევროპიული ტანსაცმლის

სამკერვალო

ვღებულობთ შეკვეთებს. შეკვეთილებს ვასრულებთ სინდისიერად, თავის დროზე და შედარებით იაფ ფასებში. მისამართი: ქ. თფილისი, ვერის დაღმართი, კუკიის მოედანი № 3, მოედნის პირდაპირ. პატივისცემით ცერცვაძე. (732 4—3)

იყიდება

ბუღალტერია

სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ნ. ტარუაშვილისა.

თხზულება

I ტ. ს. გლახაშვილისა წიგნ-კითხვის საზოგ. მაღაზიაში რუსთაველის ქ 9. (821—2—2)

გამოვიდა და იყიდება

განის ახალი წიგნი

რა უნდა იცოდეს ყველამ

(კითხვა-პასუხი კონსტიტუციური კითხვებზე)

წიგნი ღირს ექვსი მანეთი გამოწერა შეიძლება „ერთობის" რედაქციიდან. (—0—1)

მ უ შ ა თ ა კ ლ უ ბ ი

(პლეხანოვის პროსპექტი 123)

კვირას, 7 მარტს, 1920 წელს

სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდი

მიხ. კავსაძის ლოტბარობით

გამართავს 1-ლ სახალხო

კონცერტს

4 განყოფილებად.

მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა სახალხო მომღერალნი: ლ. ჯანდიერი, ვ. ცალქალამანიძე, ქ. ინასარიძე, ივ. ფუტკარაშვილი, ა. შანშიაშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

ბილეთები იყიდება. გამგე გ. ლაზარიშვილი.

ა ნ ო ნ ს ი: 10 მარტს, გაიმართება მეორე კონცერტი მეორე ქართულ კლუბში. (860—2—1)

ექიმი ბ. ა. ოქრომჭედლიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რეტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.)

თუ გინდა რამე იცოდე

ოდესაში დენიკინის მიერ დატუსაღებულ

ევსევი ჩიქვანაიას

შესახებ ვსთხოვთ ყველას ვინ [illegible] მაუწყოთ დ. ნიკოლაევში გულდამწვარ დედას ქესარია ჩიქვანაიას. (729—6—5)

აზერბეიჯანი და ბათუმის საკითხი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული იყო ის აშკარა იმპერიალისტური და ლოიალურად მტაცებლური პოზიცია, რომელიც გამოსჭვივის აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ხან ხოილის ნალაპარაკევიდან: ეს პოზიცია გულისხმობს, რომ აზერბეიჯანის ნავთსადენის და ნავთის რეზერვუარების კეთილად მოწყობის გულისათვის მსხვერპლად უნდა იყოს მოტანილი მთელი ბათუმ აჭარის მცხოვრებთა სასიცოცხლო ინტერესები, ყველა მრავალმხრივი პოლიტიკური მხარეები, რომლითაც ბათუმ აჭარა დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოებთან. ბაქოს ნავთის მრეწველობა მოითხოვს, რომ ბათუმი ნეიტრალური ქალაქი იყოს, და ამიტომ ბათუმის ბედი სწორეთ ასე უნდა გადაწყდეს!

ასეთია ხან-ხოილის, ბ. ჯაფაროვის და გაზ. „აზერბეიჯანის" პოზიციის დედა აზრი.

მაგრამ აზერბეიჯანის რესპუბლიკის მესვეურთა პოზიციაში არის ზოგიერთი მხარეები, რომლებსაც გვერდს ვერ ავუხვევთ, თუ გვინდა ზედმიწევნით გავაშუქოთ საქართველოს და აზერბეიჯანის ურთიერთობა ბათუმის საკითხის გარშემო.

დღიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა დაარსებისა ამიერ-კავკასიაში ჩვენ მუდამ იმ აზრს ვატარებდით, რომ ამ სახელმწიფოთა ურთიერთობა მხოლოდ მაშინ ჩადგება ნორმალურ და კეთილმეზობლურ კალაპოტში, როდესაც ისინი თითონვე მოაგვარებენ თავის საქმეებს, რომელსაც თავის საკუთარი ძალით, მოლაპარაკების, შეთანხმების, ურთიერთისადმი დათმობის და საერთოდ კულტურულ საშუალებით და აუცილებლად ამიერ-კავკასიისთვის გარეშე ძალების ჩაურევლად [illegible] გადასწყვეტენ ყველა სადაო საკითხებს. ეს აზრი—ამ ბოლო ხანებში ამიერ კავკასიის ყველა სახელმწიფოების საერთო ხაზათ გადაიქცა. ამ ხაზს მუდამ იზიარებდა და ბოლო ხანებში მტკიცეთ ადგა აზერბეიჯანიც და მით უფრო გასაოცარი და შემაძრწუნებელია ის ფაქტი, რომ, როგორც ხან-ხოილის განცხადებიდან ჩანს, ბათუმის საკითხის გამო აზერბეიჯანს შესაძლებლად მიუჩნევია ამ ხაზის დატოვება და კიდეც გადადგამს ისეთი ნაბიჯი, რომელიც ამ ხაზის ღალატის მაუწყებელია.

ხან ხოილის სიტყვით „შეთანხმების" სახელმწიფოთა [illegible] და გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეთ თითქმის დაპირება მიუციათ, რომ მათი სახელმწიფოები ბათუმის საკითხში იზიარებენ იმ პოზიციას, რომელზედაც დგას თვით ხან-ხოილი. როგორც ჩანს,

დღეს

ფრანგული პრესის ცნობით ინგლისის ფლოტის სტამბოლში ჩასვლამ დიდი გავლენა მოახდინა ოსმალეთის წრეებზე.

„ტანის" ცნობით საფრანგეთი არ იქნება თანახმა, რომ რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებმა ზავი შეკრან საბჭოთა რუსეთთან.

იტალიისა და სერბიის შორის მოლაპარაკება სწარმოებს ადრიატიკის საკითხის შესახებ.

რკინისგზელთა გაფიცვის გამო შეტანილი შეკითხვის გარჩევის შემდეგ საფრანგეთის პალატამ 503 ხმით 75-ის წინააღმდეგ მილიერანს ნდობა გამოუცხადა.

ამ საკითხის გამო აზერბეიჯანს ძლიერ ენერგიული სეპარატიული მოლაპარაკება ჰქონია „ანტანტის" სახელმწიფოებთან. და ხან-ხოილი იმედს გამოსთქვამს, რომ „ანტანტის" სახელმწიფოები „თავის მხრივ ყოველ ზომას იხმარებენ, რომ ბათუმის საკითხი რაც შეიძლება სამართლიანათ გადაწყდეს". ამნაირათ, იმის მაგივრათ, რომ ბათუმის საკითხის გადაწყვეტა მოხდეს იმავე გზით, რომლითაც აქამდის ხდებოდა, ყველა სხვა საკითხების მოგვარება — ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შინაური შეთანხმების გზით, — ხან-ხოილი მეზობელ რესპუბლიკათა ზურგს უკან სეპარატიულ მოლაპარაკებას მართავს „ანტანტის" სახელმწიფოებთან და „კმაყოფილებით აღნიშნავს", რომ ამ გზაზე „სასურველ" შედეგებისათვისაც მიუღწევია! ამიერ-კავკასიისათვის სრულიად უცხო, შორეული სახელმწიფოები გამოჰყავს ხან-ხოილს „სამართლიანობის" უმაღლეს წარმომადგენლის როლში და მით სამსჯავროს წინაშე მიაქვს გადასაწყვეტათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სადავო საკითხი! ეს მით უფრო არის შეუწყნარებელი, რომ აზერბეიჯანს ჯერ-ჯერობით არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონია თავის მეზობლებთან ბათუმის საკითხის შესახებ, იგი ჯერ არც კი ცდილა, რომ ეს საკითხი ჩვეულებრივი, შინაურული გზით, უცხო ძალების ჩაურევლად მოგვარებულიყო.

აზერბეიჯანის ასეთი მოქმედება მწარე ფიქრების და ეჭვების აღმძვრელია. ასეთი ეჭვები კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ვეცნობით ზოგიერთ ფაქტებს, რომლებიდანაც სჩანს, რომ აზერბეიჯანის ურთიერთობას მეზობლებთან თითქოს ერთნაირი რყევა ემჩნევა. თურქოფილური სულისკვეთება, რომელიც ყოველთვის ძლიერი იყო აზერბეიჯანის რეაქციონურ წრეებში, თითქოს ამ რიგად მმართველ წრეებზედაც ახდენს თავის გავლენას. თუმცა აზერბეიჯანის მთავრობა ოფიციალურად არწმუნებდა ბ-ნ ოლივერ უორდროპს, რომ აზერბეიჯანის მმართველ წრეების თურქოფილობა ჭორია, მაგრამ ეს არწმუნება ვერ გააბათილებს ზოგიერთ ფაქტებს. აზერბეიჯანის წარმომადგენელი ბათუმში ბ. შეინდილევი სრულიად აშკარა თურქოფილურ აგიტაციას ეწევა და ცდილობს, რომ ბათუმი ოსმალეთის იმპერიალისტებს ჩაუგდოს ხელში, აშკარა თურქოფილურივე კილო ემჩნევა ამ ბოლო ხანებში აზერბეიჯ. ოფიციოზის წერილებს. მაგ. ერთ თავის წერილში გაზ. „აზერბეიჯანი" არწმუნებდა ამიერ-კავკასიის ერებს „ოსმალეთის განზრახვათა გულწრფელობაში ჩვენს მიმართ"; გაზეთი ამტკიცებდა, რომ „ამიერ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ერთად-ერთ მძლავრს დამცველს პოულობდა ოსმალეთის სახით", რომ ოსმალეთი „არა მარტო სიტყვით, საქმითაც დახმარებას უწევდა ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს".

თუმცა აზერბეიჯანის მთავრობა უარჰყოფს თავის სიმპატიას ოსმალეთისადმი, მაგრამ მას გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ის შედეგი, რომელიც გამომდინარეობს მის პოზიციიდან ბათუმის საკითხში: ბათუმ-აჭარა ან საქართველოს საზღვრებში უნდა შევიდეს, ან ოსმალეთის ნაციონალისტების ლუკმათ იქცეს. ვინც ბათუმ-აჭარის საქართველოსთვის დაბრუნებას არ იწონებს, ის ამით ოსმალეთის ნაციონალისტებს უგდებს მას ხელში და რაც უფრო გვიანდება ბათუმის საკითხის გადაჭრა, რაც უფრო მეტი გადაცმული ასკერები შედის აჭარა-ბათუმში, რაც უფრო მეტი ოსმალეთის იარაღი და ფული ტრიალდება, მით უფრო გაძლიერდება უპასუხისმგებლო ოსმალეთის იმპერიალისტების შანსები და უფრო სუსტდება ლოიალურად მომქმედ საქართველოს შანსები. ამნაირად ხან-ხოილი ისეთ პოზიციას დასდგომია, რომ იგი, შეგნებით თუ შეუგნებლად, ოსმალეთის იმპერიალისტებს უწევს სამსახურს. მაგრამ შეგნებული აქვს, თუ არა მას, რამდენათ ხელსაყრელი იქნება თვით აზერბეიჯანისთვის ბათუმის გადასვლა ოსმალეთის იმპერიალისტების ხელში, რამდენათ ეთანხმება კითხვის ასეთი გადაჭრა თვით აზერბეიჯანის ეკონომიურ ინტერესებს, თუნდაც ეს ინტერესები მხოლოდ ნავთსადენის და ნავთის რეზერვუარების [illegible] თვალსაზრისითაც გავსინჯოთ?

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

II

ორნაირი დიქტატურა.

სოციალისტური რევოლიუციისთვის არ კმარა მარტო საწარმოო ძალების განვითარება. საჭიროა კიდევ ისეთი კლასი, რომელიც ამ რევოლიუციას სწორ გზაზე გაატარებს. საჭიროა მუშათა კლასი და მისი დიქტატურა. ისტორიამ იცის ორნაირი დიქტატურა. ერთი დამყარებული ხალხის სურვილზე, მეორე ეწინააღმდეგება ამ სურვილს. პირველი ხასიათის დიქტატურა იყო პარიზის კომუნა, მეორესი არის რუსეთის დღევანდელი საბჭოთა მთავრობა.

პარიზის კომუნა 1871 წელს აირჩიეს საყოველთაო; პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. ის იყო ხალხის ნების აღმასრულებელი. მის მხარეზე იდგა არა მარტო მუშათა კლასი, წვრილი ბურჟუაზიაც და სხვა უფრო მაღალი საფეხურის წრეებიც. კომუნა გამოხატავდა მაშინ დიდი უმრავლესობის ინტერესებს. ეს იყო კლასიური და იმავე დროს ეროვნული მოძრაობა. მუშათა კლასს ხელში ეჭირა ერის დროშა. არც ერთ დეკრეტს კომუნის მიერ დაკანონებულს არ გამოუწვევია წინააღმდეგობა უმრავლესობის მხრივ. თავისი ხაზის გასატარებლათ კომუნას არ მიუმართავს ძალმომრეობისთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კერძო შემთხვევებს. ძალმომრეობა სუსტების საქმეა, ჩვენ კი ძალა გვაქვს, ვიყოთ მშვიდობიანათ, — იმეორებდა კომუნა უკიდურეს მემარცხენეებს.

ეს იყო წმინდა დემოკრატიული დიქტატურა, ისეთი, როგორიც მხედველობაში ჰქონდა და აქვს მარქსის თეორიას. მარქსმა მეცნიერულათ დაამტკიცა ის აზრი, რომ ეკონომიური განვითარებას მუშათა კლასისკენ მიყავს დიდი ხალხის უმრავლესობა, მისკენ გადადის წვრილფეხა ბურჟუაზია და მერე თანდათან ზოგიერთი წრეებიცო. საბჭოთა პრაქტიკა უარყოფს ამ თეორიას, თუმცა მისი სახელით ფიცულობს. საბჭოთა მთავრობა ვერაფრით ენათესავება პარიზის კომუნას, თუმცა აქ ერთ ძაფსაც ვერ ნახავთ სანათესაოს. ეს მთავრობა ასპარეზზე გამოვიდა ხალხის ნების უარყოფით. მისი განკარგულებით პირველ დღიდანვე მოისპო საყოველთაო და სხვა კენჭის ყრის უფლება. საბჭოთა მთავრობამ თავიდან მოიშორა არა მარტო ამ კენჭის ყრით არჩეული დამფუძნებელი კრება, ის ზემოთ მოექცა თითონ საბჭოებს. არც ერთი დიდი დეკრეტი არ დაკანონებულა საბჭოს თანხმობით, იქ წინდაწინ მიღებით. ის იერიშს მიიტანდა ხოლმე ისეთ საბჭოზე, რომელიც უთანხმოებას ან ურჩობლობას გაბედავდა. საბჭო ბოლოს და ბოლოს მსხვერპლი გახდა პარტიული დიქტატურის. ეს პარტია აუქმებდა იმ საბჭოებს, სადაც სხვა პარტიები იმარჯვებდენ. საბჭოთა მთავრობა გადაიქცა ლენინის მთავრობათ. ეს მთავრობა არ არის კლასიური. ის რომ მუშათა კლასის ინტერესებს ემსახურებოდეს, მუშათა კლასს არ მოუსპობდა სიტყვა-ბეჭდვის თავისუფლებას. არ არის ეს მთავრობა, რა თქმა უნდა, არც ეროვნული ინტერესების გამომხატველი. ის რომ ამ ინტერესებს ემსახურებოდეს, საყოველთაო კენჭის ყრის უფლების მოსპობას არ მოინდომებდა. არა, პარიზის კომუნა არ არის ლენინის წინაპარი. პირველმა მაშინ გაანაპირა და გაამართლა რევოლიუცია, მეორემ ახლა გაამარტივა რევოლიუცია. ლენინის წინაპრები იყვნენ ბლანკისტები, ანარქო-სოციალისტები. ისინი თავის დროზე ამბობდენ, ხალხს ან კლასს დიქტატურა არ შეჰფერის, ხალხის მეგობრებმა, [illegible] უმცირესობამ უნდა იკისროს დიქტატურაო.

პლეხანოვი ებრძოდა ამათ მე-70 და მე-80-ე წლებში. მან შესანიშნავათ იწინასწარმეტყველა. რა მოხდება რომ სოციალისტურმა პარტიამ ძალა ჩაიგდოს ხელში და მაშინვე სოციალიზმის განხორციელება მოინდომოს, — აყენებდა ის კითხვას და თითონვე უპასუხებდა: — მაშინ მოხდება პარტიის საშინელი დამარცხება, რადგან იძულებული გახდება ისეთ საქმეს შეუდგეს, რომლისთვისაც არ ექნება არც ცოდნა, არც შეძლება, მის წინააღმდეგ გამოილაშქრებენ საზოგადოების მაღალი და შუათანა კლასები, მუშათა კლასში ის ვერ ნახავს ვერაფერს, გულგრილობის მეტსო.

ლენინმა თავისი მაგალითით გაამართლა ეს წინასწარმეტყველება. მის დიქტატურას თავიდანვე განუდგა არა მარტო ბურჟუაზია, განუდგნენ საშუალო კლასებიც და წრეებიც. საბჭოთა მთავრობას თავიდანვე ჩამოშორდა ფართო დემოკრატია. ეს მთავრობა არ ებრძოდა და არ ებრძვის ბურჟუაზიას როგორც კლასს; ებრძვის მხოლოდ „ბურჟუებს". ეს იყო და არის მისი მხრივ პიროვნული ბრძოლა და არა კლასობრივი. დევნა, დაპატიმრება, სიკვდილით დასჯა, ქონების წართმევა, — ყველაფერი ეს არ სპობდა ბურჟუაზიას, როგორც გაბატონებულ კლასს, სპობდა მარტო ამ კლასის კერძო პირებს. კლასთა ბრძოლა კი არა, კლასთა სიძულვილი იყო ეს. ნამდვილი ბრძოლა ხდებოდა დემოკრატიის და მუშათა კლასის წინააღმდეგ. ეკონომიური განუვითარებლობის გამო, სოციალისტური ნაბიჯები წარმოებას ანგრევდენ და ეს უბედურება, რა თქმა უნდა, მარტო მშრომელ ხალხს ატყდებოდა თავზე. ამ ხალხის უმრავლესობამ შეიძულა სოციალისტური მსოფლ-მხედველობა. თუ ეს სოციალიზმია, ჩვენ არ გვინდა სოციალისტობაო. არ გვინდაო, და გადაუდგა გაბატონებული კლასის ბანაკში. აქედან ლენინმა და მისმა მიმდევრებმა გამოიტანეს ერთი დასკვნა. — დემოკრატია მუშათა კლასის მტერია და მუშათა კლასმაც სამოქალაქო ომი უნდა გამოუცხადოს ამ დემოკრატიასო.

ლენინის დიქტატურა დამყარდა ხიშტებზე, ძალმომრეობაზე.

პარიზის კომუნა იყო უმრავლესობა უმცირესობის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა უმცირესობა უმრავლესობის წინააღმდეგ. ცარიელ ძალმომრეობაზე აშენებულმა მეფობამ გარეკა შეშინებული ხალხი, რომელიც სოციალისტური რევოლიუციის დროს მუშათა კლასს უნდა მიემხრობოდეს თან. ეს მოხდა არა მარტო რუსეთში. მთელი დასავლეთი ევროპა შეშინებულია რუსული მაგალითით. იქაც დემოკრატია გადადის რეაქციის გაბატონებული კლასებისკენ.

მრავალი რამ არის ამის მაჩვენებელი. ავიღოთ სხვათა შორის არჩევნები ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში. სოციალისტები ასე თუ ისე ყველგან დამარცხდნენ. დიდი უმეტესობა მოიგო ყველგან მოწინააღმდეგე მხარემ. საფრანგეთის პარლამენტში უზომოდ სოციალისტ—ალბერტ ტომასაც კი აღარ უგდებენ ყურს პირველ სხდომაზე. ერთ ერთ უკანასკნელ სხდომაზე ამ პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა ბურჟუაზიულ რეაქციონურ მთავრობას 500 ხმით, 100 წინააღმდეგ.

ავიღოთ გაფიცვები. ორი საუცხოო მაგალითი გვაქვს თვალის წინ. ინგლისში ამ სამი თუ ოთხი თვის წინეთ გაიფიცნენ რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი. გაფიცვის თანავე დაირაზმა მთელი ინგლისის საზოგადოება და უცებ მოეკიდა იმ საქმეს, რომელიც მიატოვეს გაფიცულებმა. იგივე განმეორდა ახლა საფრანგეთის რკინის გზებზე. აქაც საერთო გაფიცვამ გამოიწვია მთელი მუშათა გარეშე წრეების დარაზმვა. ორივე შემთხვევაში ჩვენ დავინახეთ, რომ შრომის წარმომადგენელი უფრო განმარტოებულია, ვიდრე კაპიტალის.

ავიღოთ მილიტარიზმი. გვარწმუნებდენ, რომ დიდი ომის შემდეგ ომიანობა აღარ იქნება, ხალხი დაისვენებს ყველა ქვეყნებში. ახლა კი ვხედავთ სულ სხვას. ომიანობისთვის მზადება არსად არ შეწყვეტილა, მილიტარიზმს ბოლო არ მოეღება. საფრანგეთის პარლამენტში გავიდა კანონ პროექტი ახალი ჯარის დასაწყობად, გავიდა 518 ხმით 68-ის წინააღმდეგ. „თავისუფალ" ამერიკაში დაყენებულია და საცაა მიღებული იქნება ახალი დებულება ჯარის შესახებ. სავალდებულოთ უნდა გახდეს ყველასათვის სამხედრო მზადება. მოეწყობა რაზმი—მომქმედი და სამოქმედოთ გამოსაწვევი. მზადდება მუდმივი ჯარიანობა ინგლისშიაც.

ყველა ამ მაგალითების მიხედვით, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახლანდელი საერთაშორისო ამინდი ხელ-შემწყობია სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისთვის. ამისთანა ამინდში რომ დასავლეთის მუშათა კლასმა ლენინის მაგალითი გადაიღოს, რა საკვირველია ვერაფერს მოიგებს. იქ დღეს დიქტატურა უმრავლესობის ნებაზე ვერ აშენდება. იქ ეს გამოიწვევს უფრო საშინელ სამოქალაქო ომს, ვიდრე აქ, მეტ სისხლის ღვრას, ვიდრე ჩვენში მოხდა და ხდება. იქ ბურჟუაზია და მისი აჰყოლი წრეები უფრო მომზადებული არიან საბრძოლველათ, მეტ სიმაგრეს გამოიჩენენ ლენინური დიქტატურის წინააღმდეგ. სამოქალაქო ომი გაანადგურებს იქ მთელ კულტურას და უკან დასწევს ევროპას რამოდენიმე საუკუნით.

ამ მიზეზების ასაცილებლათ შეგნებული მუშათა კლასი მხედველობაში იქონიებს პარიზის კომუნას და არა საბჭოთა მთავრობას. სამაგალითოთ გაიხდის პირველს, და მოიშორებს მეორეს. ის ეცდება, რომ დემოკრატია გაბატონებულ კლასებს ჩამოაშოროს და თავისკენ მიიზიდოს.

საბჭოთა მთავრობამ შექმნა ერთი დიდი წინააღმდეგობა. დემოკრატია თავისი ინტერესებით უფრო ახლო დგას მუშათა კლასთან და სოციალისტურ მოძრაობასთან. თავისივე ინტერესების წინააღმდეგ ის დაუახლოვდა მუშათა კლასის და მისი მოძრაობის მტრებს.

ეს წინააღმდეგობა უნდა მოისპოს ჩვენი საერთაშორისო იდეალების განსამარჯვებლათ. ამის მოსპობა შეუძლია დასავლეთის მუშათა კლასს, თუ ის არ აცდება მარქსისტულ გზას და არ ისარგებლებს საბჭოთა მთავრობის მაგალითით.

საბჭოთა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ლენინელების დიქტატურა უნდა ჩაბარდეს ისტორიას. პარიზის კომუნის მიერ ამართული დროშა უნდა დაგვიდგეს წინ გზის მაჩვენებლათ.

ს. დევდარიანი.

სამოცამდე სოფელი დაინგრა თუ ქვის გული არა გაქვს მათს დახმარებას არ დაიშურებ. შესწირეთ ფული.

ᲞᲠᲔᲡᲐ

„სახალხო საქმე" აღარ ხუმრობს. მთელ გაზეთს ჩვენ გვანდომებს და ჩვენი განიავების წყურვილით თავდავიწყებამდი მიდის. ის დიდათ კმაყოფილია თავის უტიფარი ოპოზიციით და მის ტრაბახს საზღვარი არ უჩანს.

„ჩვენმა ოპოზიციამ გამოაცოცხლა დამ. კრების უკანასკნელი სხდომები". „ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები—ვერვინ დაარღვია", „ჩვენმა ფრაქციის წევრებმა ფართოთ გადაშალეს ჩვენი ცხოვრების წყლულები", „ჩვენი მოვალეობაა ერთგულ დარაჯათ ვუდგეთ რესპუბლიკის ინტერესებს" და სხვა და სხვა.

ასე ტრაბახობენ „სახალხოს" ჩიტი რიგის ოპოზიციონერები და ჰგონიათ, რომ ამ ყოყლოჩინობას ვინმე დაუჯერებს. უშვერი ლანძღვა-გინება, ქუჩაში მოკრებილი ჭორები, რამდენიმე წლის უკან მომხდარი ამბები, ერთი და იმავეს ყოველ დღე ღეჭვა, აი რა ყოფილა თურმე დიდი ოპოზიციონერობა და „რესპუბლიკის ერთგული დარაჯობა?!" თუ ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები ფედერალისტების და ესერების სადარაჯოთ და დასაცავათ გახდა და ისიც ჩვენგან, მაშინ დაღუპულა რესპუბლიკა ასეთი დარაჯების შემყურე და მოიმედე.

იმავე ნომერში მოთავსებულია წერილი ბათუმის შესახებ, სადაც სხვათა შორის სწერია:

„საშინელი მდგომარეობაა—ასეთი საბედისწერო დღეები არ გვქონია დღიდგან თავისუფლების გამოცხადებისა. და ამისთანა დროს ჩვენი მთავრობა დამბლა დაცემულივით გაჩერებულა უძრავათ, უმოქმედოთ, არაფერს არ აკეთებს, არ იღებს ზომებს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავათ..."

ასე სწერს „სახალხო საქმე" ჩვენს მთავრობაზე ამ „საშინელი მდგომარეობის" დღეებში, როგორც თვითონ აღნიშნავს. ალბათ ესეც ოპოზიციონერობა გონია ამ უბადრუკ გაზეთს. ამ მართლაც საბედისწერო მომენტში, ნაცვლად მთავრობის გარშემო შემოკრებისა, მისი გამაგრებისა და დახმარებისა, ის აბეზღებს მას ხალხთან: „არაფერს აკეთებს", „არ იღებს ზომებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავათ, გაჩერებულა უძრავათ, უმოქმედოთო" და სხ. და ამას სწერენ ისინი, ვინც მთელ თავის ცხოვრებაში უძრავათ დგანან და უმოქმედოთ და მთელ დღეებს ლუდსახარში ბუზების თვლაში ატარებენ.

ჩვენმა ხალხმა კარგათ იცის, თუ რა ზომებს იღებს მთავრობა ბათუმის საკითხში. მან ისიც კარგათ იცის და ახსოვს, რომ მუდამ, როცა ასეთ საბედისწერო დღეები უდგებოდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ფედერალისტები მხოლოდ იმას აკეთებდენ, რაც ხელს უშლიდა და უშლის ჩვენს საერთო საქმეს და ამ დროს. მათ მხრივ დაბრკოლებებს ახლაც [illegible] და მთავრობასთან ერთად ის პირნათლად შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას...

შენ ომით გამდიდრებულხარ — დაეხმარე უსახლკარო ქართველებს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დემოკრატიის სააგენტო)

5 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ინგლისის ფლოტი სტამბოლში.

ინგლისის ფლოტის კონსტანტინოპოლში ჩასვლამ ოსმალეთის წრეებზე დიდი გავლენა მოახდინა.

იტალია და სერბია.

იტალიისა და სერბიის შორის განახლდება მოლაპარაკება ადრიატიკის საკითხის შესახებ.

შეკითხვა რკინისგზელთა გაფიცვის შესახებ

სამშაბათს პალატაში შეიტანეს შეკითხვა რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ. თავის პასუხში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა იმ საკმაოთ მრავალ რიცხვიან რკინის გზელებს, რომელნიც თავის მოვალეობას ერთგულად ასრულებდენ. პალატამ 503 ხმით 75 ხმის წინააღმდეგ მილიერანს ნდობა გამოუცხადა.

საზავო ხელშეკრულების აღსრულება.

პალატის საფინანსო კომისიამ დანიშნა შინა კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს საზავო ხელშეკრულების ეკონომიური და ფინანსიური პირობათა აღსრულებას. სხვათა შორის მასში შედიან კლოტცი და ლუშერი. ეს შინა—კომისია დამოკიდებულებას დაიჭერს საგარეო საქმეთა შინა კომისიასთან, რომელსაც მინდობილი აქვს საზავო ხელშეკრულობის პირობების საერთო აღსრულებაზე თვალ-ყურის დევნება. პირველი სხდომა მოხდება კვირის ბოლოს.

ჯარში გაწვევის კანონი.

სენატმა დაადასტურა 1920 წელში ჯარში გაწვევის კანონი.

საფრანგეთი და საბჭოთა რუსეთი.

„ტანის" ცნობით საეჭვოა, რომ საფრანგეთი დაეთანხმოს რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოთა მოწოდებას საბჭოთა მთავრობასთან ზავის შეკვრაზე.

ერების ლიგა.

ბერნის ეროვნულმა კრებამ 115 ხმით 55-ის წინააღმდეგ მიზანშეწონილად აღიარა შვეიცარიის ერთა ლიგასთან შეერთება.

ვილსონი და ადრიატიკის საკითხი.

ვაშინგტონიდან იუწყებიან ლონდონში: პრეზიდენტმა ვილსონმა გაათავა თავისი პასუხი ინგლისის და საფრანგეთის პრემიერ მინისტრებისადმი ადრიატიკის საკითხის შესახებ. ეს პასუხი ევროპაში გამოცემული იქნება ოთხშაბათს საღამოს.

რკინის დამუშავება საფრანგეთში.

რკინის დამუშავება საფრანგეთში მიაღწევს სულ უკანასკნელი 43 მილიონ ტონას, ე. ი. აქ მუშავდება მეოთხედი ნაწილი იმისა, რაც მთელ ქვეყნიერებაზეა. ამ ციფრში არ შედის ანჟუსა და ნორმანდიის სხვა და სხვა ხეობები. ამგვარათ რკინის რაოდენობით საფრანგეთი ევროპის ხალხთა შორის პირველ რიგში სდგას. საერთოდ ლითონები და მინერალები საფრანგეთს აძლევს საშუალებას სხვებზე უფრო ძლიერი სალითონო მრეწველობა ჰქონდეს და ეს ლითონები გასატანათაც მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენენ. გაცვლის გზით საფრანგეთი იშოვის ნახშირს, რომელიც მას აკლია, ან და გაყიდის რა ამ ლითონებს, იგი თავის ვალიუტას აწევს.

[illegible] ცნობები

სამხედრო ცნობა.

მურმანის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ქალ. კემი აიღო. პრიპიატიდან დნესტრამდე მდგომარეობა არ შეცვლილა. პოდოლ-მოგილევის რაიონში დნესტრის ხაზზე ჩვენი ჯარის წინ წაწევა გრძელდება. როსტოვის რაიონში სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენ ავიღეთ ეგორლიცკაია და სადგ. კაგალნიკი, წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელთ ვიგდეთ 3 ორთქმავალი, 2 სანიტ. მატარებელი პერსონალით და ავადმყოფებით. მტრის დევნა გრძელდება. სტავროპოლის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ყუბანისკენ მიიწევს სვიატოკრესტის რაიონში შეტევა კარგად ვითარდება.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი

რადიო „იზვესტიაში" სწერს: ინგლისის მთავრობამ რუსეთის კოოპერატივების წარმომადგენლებს ნება დართო ლონდონში მისვლისა. არ შევწყვეტთ რა მოთხოვნას, რომ განახლებულ იქნეს დიპლომატიური დამოკიდებულება, ჩვენ ჯერ თანახმა ვართ ამ დამოკიდებულების კოოპერატიული ფორმისა, რათა შემდეგ ლაპარაკიდან გადავიდეთ ხაზზე და საზავო მოქმედებაზე. ვაჭრობის გასაახლებლათ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ლონდონში მოლაპარაკება დასრულდება არა სიტყვიერი კამათით, არამედ ფაქტიური, ვაჭრობის დაწყებით. ნუ ვილაპარაკებთ ძველ ცოდვებზე, ეხლავე აუცილებელია, რომ ინგლისის მთავრობამ დაძლიოს ორივე მხარეში ვაჭრობის დაწყების საწინააღმდეგო ცდა, მტკიცე ხელით მოსპოს ეს ცდა, გამოდის პარიზის და ინგლისის სამხ. სამინისტროს წრეებიდან. თავის სახლში მათ უკვე მიაღწიეს იმას, რომ არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური მართველობის საზღვრავენ სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების კურსს. ფრანგები აქეზებენ პოლონელებს დაიწყონ საბჭოთა რუსეთთან ომი. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ ჩვენ მოგვიხდა ბრძოლა, იძულებული შევიქნებით მთელი ძალა სამხედრო მოქმედებას მოვანდომოთ და ჩვენ შეძლება არ გვექნება ეს ძალა მოვახმაროთ ტრანსპორტს, ურომლისოდაც სავაჭრო დამოკიდებულება შეუძლებელია. ამის გამო თავის ინტერესებისათვის ინგლისმა მტკიცედ და ნათლად უნდა დაუმტკიცოს პოლონეთის და საფრანგეთის მთავრობას, რომ ინგლისი აღმოსავლეთ ევროპის კვლავ დანგრევის და განადგურების წინააღმდეგია.

რადგანაც ინგლისის მთავრობას რუსეთის კოოპერატორებთან მოლაპარაკების დაწყება სურს, მას არ უნდა დაავიწყდეს ის ორი პირობა, რომელსაც ანგარიშს უწევენ ინგლისის პატიოსანი კომერსანტები, და ეს პატიოსანი თამაში და გარკვეულობაა. უდიდესმა სავაჭრო ფირმამ, დიდმა ბრიტანეთმა თვითონ უნდა იცოდეს, თუ მას რა სურს და თავიდან აიცილოს დაბრკოლებები, რომელიც ამ საქმეს წინ ეღობება. თვით საქმე არ იქნება უზრუნველყოფილი მანამდე, სანამ ინგლისი გარკვევით არ ეტყვის საფრანგეთს, რომ იგი თანახმა არ არის, რომ საფრანგეთის დიპლომატებმა და პოლონეთის ავანტიურისტებმა ხელი შეუშალონ მის საგარეო დამოკიდებულობას. მეტი სიაშკარავე, მეტი გარკვეულობა.

„პრავდა" და მოსკოვის საბჭო.

„პრავდა" იუწყება მოსკოვის ხელახლად არჩეული საბჭოს პირველი სხდომის შესახებ: ეხლა, სწერს „პრავდა"—პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობასთან ერთად საბჭოს წინაშე სდგას საკითხი ეკონომიური აღმშენებლობისა. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით, რომ საბჭო ყოფილიყო არა მარტო „მუშათა პარლამენტი", არამედ—ყოფილიყო დიდი საქმიანი ორგანიზაცია. ჩვენ ყოველთვის აუცილებლად მიგვაჩნია, რომ „მუშათა დეპუტატები" იყვნენ არა ბურჟუაზიული სახის, რომელიც მხოლოდ ლაპარაკობს... ლაპარაკობს... და ლაპარაკობს... მუშათა დეპუტატი უნდა იყოს საქმის კაცი, რომელიც მეტს აკეთებს, ვიდრე ლაპარაკობს. პირობები კი ეკონომიური აღორძინების აღმშენებლობის სფეროში პირველათ საქმეს მოითხოვს.

მუშავ შენი ღარიბი გროში ცრემლებს მოსწმენდს უდედმამო ობლებს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ბლოკადის მოხსნა საქართველოს საზღვრებიდან. დონის, ყუბანისა და თერგის უმაღლეს „კრუგის" დელეგაციამ პირდაპირი მავთულით ეკატერინოდარში ცნობები ვადასცა უმაღლეს „კრუგის" პრეზიდიუმს იმ საქმიან მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებდა დელეგაციასა და საქართველოს შორის საზღვრებიდან ბლოკადის მოხსნის და ეკონომიური დამოკიდებულებათა აღდგენის სამხრეთ-რუსეთთან. 3 დღის წინათ უმაღლეს „კრუგის" თავმჯდომარისაგან ცნობა მიიღო მის შესახებ, რომ სამხრეთ-რუსეთის მთავრობას მოუხსნია ბლოკადა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან. მიღებული ცნობა მაშინვე აცნობა დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრს ე. პ. გეგეჭკორს. საქართველოსა და სამხრეთ რუსეთს შორის აღდგენილი იქნება საფოსტო-სატელეგრაფო დამოკიდებულება. თფილის-კავკაზ შორის კავშირის აღდგენის გამო შესაძლებელი იქნება დეპეშების გზავნა ჩრდილო კავკასიის და სამხრეთ-რუსეთის ყველა ქალაქებში.

◆ **ზუგდიდის მაზრის ერობის** განახლებულ ყრილობა ულოცავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. ერის, დემოკრატიის და მისი სათავეში მდგომ მთავრობის სახე პოლიტიკამ მოგვცა ეს ისტორიული აქტი. ყრილობა ჩაუდგა სათავეში მაზრის ცხოვრებას განახლებული შემადგენლობით. არ დაიშურებს თავის ძალ-ღონეს მტკიცე ნიადაგზე დაამყაროს თვითონ მართველობის მუშაობა და ამით განამტკიცოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ერის საკეთილდღეოდ. ამ საერთო კმაყოფილების დროს გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასიცოცხლო ნაწილი ბათუმი ჯერ ბურუსშია გახვეული. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჩვენგან განუყოფელი მხარე, ბათუმის ოლქი, თქვენი ბრძნული პოლიტიკის წარმოების წყალობით მალე დაუბრუნდება საქართველოს, რისთვისაც თუ საჭირო იქნება, არავითარ მსხვერპლის წინაშე არ შევჩერდებით. ყრილობის პრეზიდიუმი დ. თოფურიძე, ჟღენტი, მეჯვირი, მ. ვეკუა.

◆ **სტოლერმანის საქმე დასრულდა.** 5 მარტს ექსპერტების დასკვნით ბრალდებულმა პათალოგიური ეფექტის დროს მოჰკლა ცოლი და ამჟამადაც ნევრასტენიით არის შეპყრობილი. სასამართლომ სტოლერმანი გაამართლა.

◆ **ხურხაზე მომუშავეთა პროფ. კავშირის** ცენტრალური გამგეობა კვირას 7 მარტს იწვევს ამავე კავშირის წევრთა საზოგადო კრებას. პროფესიონალური კავშირის შენობაში სახ. არამიანცისა რუსთაველის პროსპ. № 17 მეხუთე სართული სადაც მოხსენებას გააკეთებს ახლად დაბრუნებული საბჭოთა რუსეთიდან ამხ. ს. დევდარიანი პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე საბჭოთა რუსეთისა, დამოკი-

დებულება საბჭოთა მთავრობისა ანტანტასთან და კავკასიის რესპუბლიკებთან, კერძოთ საქართველოსთან. მოხსენება ფრიად საინტერესოა მუშებისათვის და დაიწერება ყველა წევრებისა საყურადღებოთ.

◆ საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი წერილი მოუვიდა ბრიტანეთის უმაღლეს კომისარის ბ-ნ ოლ. უორდროპისაგან: ლორდმა კერზონმა მთხოვა გადმოგცეთ თქვენ შემდეგი დეპეშა ტფილისის უნივერსიტეტისათვის, რასაც სიხარულით ვასრულებ: „როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი და მთელ ქვეყანაზე ერთი უძველესი და უძველესი—ოქსფორდის უნივერსიტეტის კანცლერი, გულწრფელად გილოცავთ ამიერ-კავკასიაში ახალი უნივერსიტეტების გახსნას, რომელთაც ჩემ მიერ მიღებულ ცნობებით უკვე დაიწყეს მოქმედება ტფილისს, ბაქოსა და ერევანში. ოქსფორდის უნივერსიტეტი უკვე ფიქრობს, რომ ამიერ კავკასიის უნივერსიტეტებს ასეთივე ბრწყინვალე მომავალი მოელის, როგორც ინგლისი ფიქრობს ამ უნივერსიტეტების ქვეყნებისათვის“.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, შაბათს, 6 მარტს ლექციებს წაიკითხავენ ცენტრში (პლეხანოვის პრ. № 123) 1) გ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია 2) ა. ტყემალაძე—მეცნიერება სახელმწიფოზე.

◆ **ნივთების შეგროვება** გორის დაზარალებულთა სასარგებლოთ სწარმოებს დღეს. ყველანი გულუხვად იხმარებიან. ბ-ნმა ადელხანოვმა შესწირა ფეხსაცმელები 4,000 მანეთად ღირებული.

◆ **ბათუმის ოლქში.** თანახმად საგარეო საქმეთა სამინისტროში მთავრობის საგანგებო რწმუნებული ბ-ნ ხოშტარიასაგან მიღებულ მოხსენებისა, მასთან 29 თებერვალს ბათუმში გამოცხადდენ შავშეთის, მაჭახლის, ბორჩხის, ქიზილჯის, ქედის და ართვინის წარმომადგენელნი და განაცხადეს რა, რომ მათ ქონებას მოელის ჩეთნიკების მიერ ძარცვა-აწიოკება და რომ მურღულის რაიონის სოფელ ბაგეში უკვე ქონდა ადგილი ჩეთნიკების მიერ ქალის გაუპატიურებას და რამდენიმე კაცის მოკვლას—სთხოვეს მას გამოეცხადა საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა უკანასკნელმა მიაშველოს მათ ჯარი და იხსნას ისინი საბოლოო დარბევისა და გაუბედურებისაგან.

◆ **დონის, ყუბანის და თერგის დელეგაცია** გუშინ გაემგზავრა ერევანში. იქ დან დაბრუნების შემდეგ დელეგაცია გაემგზავრება ბაქოში, საიდანაც ისევ ტფილისს დაბრუნდება.

კრებები.

კვირას, 7 მარტს, დილის 10 ს., მე-6 რაიონის კოლექტივის ახალ კლუბში (ბებუთოვის ქ. № 22) დანიშნულია ამავე რაიონის საქ. სოც. დემ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. მოისმენილ იქნება ამხ. ს. დევდარიანის მოხსენება რუსეთის მდგომარეობაზე, რის შემდეგ მოხდება მე 4 სამილიციო უბნის ქვე-კოლექტივის არჩევნები.

— დღეს, სად. 8 ს., საკუთარ ბინაზე შესდგება კრება საქ. ახ. მარქ. ცენტრალური კომიტეტისა.

— დღეს, 6 მარტს, სად. 6 ს. შესდგება ქალაქის სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში გორის მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ახლად არჩეული კომიტეტის სხდომა.

— შაბათს, 6 მარტს, სად. 5 ს. შესდგება 1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

უცხოეთი

რუსეთი

მუშათა კომიტეტების გაუქმება. მოსკოვიდან მოსული ცნობებით საბჭოთა მთავრობას შემდეგი ბრძანება გაუცია: მუშათა საბჭოები და ქარხნების დირექტორთა კომიტეტები შეიქმნა იმ მიზნით, რათა წესრიგი დაემყარებინათ სამრეწველო ცენტრებში; მაგრამ მათ, პირიქით, დაარღვიეს წესრიგი; მათ შეიტანეს დემორალიზაცია მუშათა წრეებში და დაიტაცეს სახაზინო საქონელი. ამიტომ დასახელებული საბჭოები და კომიტეტები გაუქმებულათ ცხადდება.

ოსმალეთი.

ნაციონალისტების საზავო პირობები გაზ. „ჯორნოლეში“ (17 თებერვ.) მოყვანილია საზავო პირობები, რომელიც გამომუშავებულია ოსმალეთის ნაციონალისტური ბლოკის მიერ. საზავო ხელშეკრულება შემდეგ საფუძველზე უნდა იქნეს დამყარებული: 1) იმ ოლქების ბედი, რომლებიც დროებით ზავის დროს ოსმალეთის საზღვრების გარეშე დარჩენ, უნდა საბოლოოთ გადასწყდეს პლებისციტის საშუალებით; 2) ყარსის, ბათუმის და არდაგანის ოლქების ბედიც, თუ საჭიროება მოითხოვს, პლებისციტის გზით უნდა გადასწყდეს; 3) დასავლეთ თრაკიის ბედიც პლებისციტით გამოირკვევა. ხალხს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება თავისი ნების გამოსახატავათ; 4) სულთანისა და ხალიფის საცხოვრებელი ადგილი და მარმარილოს ზღვა უდავოთ უნდა დარჩეს ოსმალეთს.

სომხეთი

ბოლშევიკების გაძევება. ამ რამოდენიმე ხნის წინათ სომხეთიდან გააძევეს ზოგიერთი ცნობილი ბოლშევიკები. ამის შესახებ გაზ. „არაჩი“, სხვათაშორის, შემდეგს სწერს: მაშინ, როდესაც საქართველოში და აზერბეიჯანში შეუბრალებლათ სდევნიდენ ბოლშევიკებს,—სომხეთში ისინი თავისუფლათ ცხოვრობდენ; კიდევ მეტი: მთავრობამ ნება მისცა მათ სამსახურში შესულიყვნენ სახელმწიფო დაწესებულებებში იმ პირობით კი, რომ ისინი არ იმოქმედებენ სომხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ბოლშევიკებიც პირველ ხანებში ასრულებდენ თავიანთ სიტყვას, მაგრამ უკანასკნელ 1—2 თვის განმავლობაში, როდესაც მათ დაინახეს, რომ საბჭოთა ჯარები უახლოვდებოდენ ამიერ კავკასიას, იწყეს ფართო აგიტაცია სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობამ იცოდა ეს აგიტაცია, იცოდა აგრეთვე, რომ ბოლშევიკებს კავშირი ჰქონდათ ოსმალოელ ნაციონალისტებთან—მუსტაფა-ქემალ და ნური ფაშებთან. იცოდა, რომ ბოლშევიკებს განზრახვა ჰქონდათ სომხეთის გზით ბოლშევიკების ჯარები ოსმალეთში გადეყვანათ. ამიტომ მთავრობამაც მიიღო შესაფერი ზომები და გააძევა ისინი სომხეთის საზღვრებიდან. სომხეთის პარლამენტმა დაადასტურა მთავრობის ნაბიჯები.

წერ. რედაქციის მიმართ

ბ-ნმა ეგნატაშვილმა დამფუძ. კრებაში ჩემს შესახებ [illegible] წარმოსთქვა რეპლიკა, რომელიც სურდა ალბათ ჩემი რაიმე არა საკადრისი საქციელი ემხილებინა.

ჩემს წერილობით შეკითხვაზე ეგნატაშვილმა ასეთი შინაარსის ბარათი გამოგზავნა: „მე არ მახსოვს სიტყვა-სიტყვით ჩემი რეპლიკა, მხოლოდ აზრი ასეთი იყო, რომ იუსტიციის მინისტრს, ე. ი. თქვენ, [illegible] ერთად, ასე რომ იტყვიან, „ლორის გეტერები“ კამპანიაში. რაც შეეხება ხესიაშვილის ხსენებას, მე ამით მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, (რომ) იქ, სადაც თქვენ და კარზობოვი (და ბ. პ. კახიანი) ბრძანდებოდით სადილათ თუ ვახშმათ, კაცზობოვი სესიაშვილის ფირმის ვოლკეს ჰგავდა. გრიგოლ ეგნატაშვილი“ როგორც ხედავთ აქ სარეპლიკო არაფერია.

მაგრამ ვინც მოისმინა დამფუძ. კრებაში ბ. ეგნატაშვილის რეპლიკა, იგი ისეთი ფორმით და კილოთი იყო ნათქვამი, რომ ეგონებოდა, ვითომ მე რაიმე საეჭვო ფულებით მექეიფოს, ან საეჭვო საქმეს ახლოს გავკარებოდე მაინც.

რამდენათ [illegible] სინდისიერია დამფუძ. კრების წევრის მიერ ორჭოფი რეპლიკის გამოთქმა, ორჭოფი მიზნით და იგიც ასე უსაფუძვლოთ, ეს საზოგადოებამ განსაჯოს. მე კი ვიტყვი: ეს დაკნინებაა დამფუძნებელ კრების ღირსების.

ვსთხოვ იმ გაზეთებს, რომელთაც რეპლიკა მოათავსეს, გადაბეჭდონ ეს მცირე წერილიც.

იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

უდიდესი სიმდიდრე მოყვასის სიყვარულია შეიძინე ეს სიმდიდრე შესწირე უსახლკარო გორელებს.

შრომის ხელშეკრულების გარშემო*)

ობლის კვერი ცხვება, [illegible] გამოცხვებაო, იტყვიან ხოლმე ჩვენში. სწორედ ასე მოუვიდა შრომის ხელშეკრულების კანონსაც. წელზე მეტია რაც ის იცხობა და დღესაც გამოუმცხვარია. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კანონი შემუშავდა და გამოიცა, შრომის ხელშეკრულების კანონს კი ჯერ არა ეშველა რა. კანონ-პროექტმა შემოიარა ყველა კომისიები და შეჩერდა იმ წინააღმდეგობის გამო, რომელმაც თავი იჩინა შრომისა და იურიდიულ კომისიებ შორის. ეს განსხვავება იმდენად საყურადღებო შეიქნა, რომ მიიქცია ყურადღება მუშათა ორგანიზაციების. ხსენებული ორგანიზაციები უკვე ჩაერივნენ ამ დავაში და გაიმართა კამპანია.

უმთავრესი განსხვავება შრომისა და იურიდიული კომისიის გამოიხატება იმაში, რომ პირველი ამ ხელშეკრულებას ავრცელებს რესპუბლიკის ყველა მუშებზე და მოსამსახურეებზე, გარდა ადმინისტრატიული პირებისა, იურიდიული კომისია კი აქედან ავალებს სახელმწიფო, საერობო და თვითმართველობათა მოსამსახურეებს და თხოულობს მათზე ეს კანონი არ გავრცელდეს.

მუშათა ხელმძღვანელ ორგანიზაციათა 90 პროც. უჭერს მხარს შრომის კომისიას და მოითხოვს ამ კანონის ყველა მუშებზე და მოსამსახურეებზე გავრცელებას (გარდა ადმინისტრატორებისა) იურიდიული კომისიის მომხრენი გამოდიან შემდეგი შეხედულებიდან: 1) სახელმწიფოს, ერობისა და ქალაქის მოსამსახურენი საჯარო უფლების მატარებლები არიან, ისინი პოლიტიკას აწარმოებენ, მათ დიდი და რთული პასუხისმგებლობა აკისრიათ, ამიტომ მათი მუშაობაში არევა სახელმწიფოს ზიანს მოუტანს, მუშაობას შეაფერხებს, 2) ხსენებული მოსამსახურენი არავითარ ღირებულობას არ ქმნიან, პროლეტარები არ არიან, არსებითად წვრილი ბურჟუები არიან, მუშებთან საერთო არა აქვთ რა, მათზე კანონი არ უნდა გავრცელდეს.

ჩვენი შეხედულებით ყველა ეს დებულებები საფუძველს მოკლებულია და აი რატომ. პირველ ყოვლისა დავა სწარმოებს არა იმ მოსამსახურეებზე, რომლებიც მაღალ პოლიტიკას აწარმოებენ და საჯარო უფლების მატარებელნი არიან, არამედ იმ დაბალ წვრილ მოსამსახურეებზე, რომლებიც შავ მექანიკურ სამუშაოს აწარმოებენ. ასეთები არიან: შიკრიკები, დარაჯები, რეგისტრატორები, მოანგარიშეები, მწერლები, საქმის მწარმოებლები და მრავალი სხვა დაბალი ხარისხის მოსამსახურეები. ყველა ამათ არც პოლიტიკის წარმოებასთან და არც საჯარო უფლების ტარებასთან არაფერი საერთო არა აქვთ.

პასუხისმგებლობა მათ მართლაც რომ დიდი და რთული აკისრიათ, მაგრამ სწორედ ამიტომ მათ მეტი უფლებაც უნდა ჰქონდეთ, რომ შესძლონ სახელმწიფოს წინაშე თავიანთი დიდი მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ვისაც დიდი მოვალეობა აქვს, მას სხვებისოდენა უფლება მაინც უნდა ჰქონდეს თუ მეტი არა. როდესაც მოსამსახურეების მუშებში არევაზე ლაპარაკობენ, აქ უპირველეს ყოვლისა ეშინიათ შრომის ბირჟას.

შრომის ბირჟიდან მოსამსახურის აყვანა ჩვენ მოწინააღმდეგეებს შეუძლებლად მიაჩნიათ.

ჩვენთვის ცხადია, რომ დაბალი მოსამსახურეების ბირჟიდან აყვანა არაფერს არ ავნებს სახელმწიფოს, იხსნის მხოლოდ მის დაწესებულებებს პროტექციისა და ნათლი-მამობისაგან.

მოსამსახურეები პროლეტარები არ არიან, ზედმეტ ღირებულებას არ ქმნიან წვრილი ბურჟუები არიან, მერყევი ელემენტები, კლასიური ფსიხოლოგია არა აქვთო, გაიძახიან ჩვენი მოწინააღმდეგენი.

კარგი და პატიოსანი, დავუშვათ, რომ ყოველივე ეს აქსიომაა, უდავო სიმართლეა, მერე რატომ უნდა გაიყონ ისინი ორ ჯგუფად? რათ უნდა მიეცეთ ერთ მათგანს მეორეზე უპირატესობა? რათ უნდა გავავრცელოთ კანონი კერძო დარგებში ჩაბმულ მოსამსახურეებზე და დავტოვოთ კანონ გარეშე? რათ უნდა გავავრცელოთ კანონი რკინის გზის მოსამსახურეზე და არ გავავრცელოთ ფოსტა ტელეგრაფისაზე? ან რათ უნდა დაიცვას კანონმა ტრამვაის გადამწერი და არ დაიცვას გამგეობის კანცელარიის გადამწერი?

შეიძლება ერთგან მოსამსახურე პროლეტარი იყოს, მეორეგან წვრილი ბურჟუა. ან იქნებ ერთგან მერყევი იქნეს, მეორეგან კი მტკიცე და ურყევი. რათ უნდა იქნეს უფლებრივ მხრივ განსხვავება მათ შორის?

სად არის აქ ლოღიკა? სად არის სამართლიანობა? ან რა შუაშია აქ ღირებულება და ზედმეტი ღირებულობა?

ან ყველა მუშები და მოსამსახურეები ერთ ტაფაში უნდა იწოდენ. ან და ყველა მოსამსახურეები ერთად მაინც, როცა საჭიროა მათი ორ ბანაკათ გაყოფა?

მოსამსახურეები მერყევი ელემენტები არიანო, ამბობთ. მერე რა გინდათ ამითი სთქვათ? მუშათა კლასი სოციალიზმისაკენ მიილტვის, ის თანდათან იკაფავს გზას და ცდილობს მეტი თანამგზავრი და თანამოაზრე გაიჩინოს, ის ეცდება მოსამსახურეებიც მასთან იდგნენ და სოციალიზმს საქმეს ემსახურონ. ამას კი ის შესძლებს არა ჩამოცილებით, არამედ მასთან დაკავშირებით. თქვენი პოლიტიკა კი ხელს უწყობს მოსამსახურეების მეორე ბანაკში გადასვლას, რაც სრულებითაც არ შეესაბამება მუშათა კლასის ინტერესებს. გაიხსენეთ თუ გინდ რუსეთის მაგალითი როდესაც მოსამსახურენი გაუფიცნენ ბოლშევიკებს და თქვენ ნათლად დაინახავთ თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს თქვენ ხელოვნურ გათიშვას.

ჩვენ მოწინააღმდეგეებს ძალიან მოსწონთ ძველი სამსახურის წესდება და [illegible], გადავამუშაოთ ის, შევასწოროთ და მივიღოთო. ჩვენ არსებითად ვეწინააღმდეგებით ამ აზრს, რადგან ჩვენი შეხედულება მოსამსახურეებზე არის სულ სხვა. ვინდრე ამ წესდების ავტორების შეხედულებით ისინი ცდილობდნენ მოსამსახურეები ხალხის საწინააღმდეგოთ გამოეყენებინათ. ჩვენ კი გვსურს მათი ხალხის საკეთილდღეოთ გამოყენება, მათი მუშებთან დაახლოვება, კლასიური ბრძოლის ემბაზში მონათვლა და დაკავშირება. ჩვენ გვინდა მათი დაახლოვება და დაკავშირება და არა დაშორება. ერთნაირი უფლებები ჩვენ დაგვაახლოვებს სხვა-და-სხვაობანი კი დაგვაშორებს. კანონი უნდა იყოს ყველასათვის საერთო, წესდება კი შემუშავდება შემდეგში. რასაკვირველია ჩვენ არაფერი არა გვაქვს წინააღმდეგი იმისა, რომ ყოველიფერი კარგი წესდებიდან ამოვიღოთ. ჩვენ წინააღმდეგი ვართ მხოლოდ წესდებით დაკმაყოფილდეთ. ჩვენ საჭიროთ და აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ხსენებული კანონი გავრცელდეს ყველა მუშებზე და მოსამსახურეებზე (გარდა ადმინისტრატორებისა) განურჩევლად იმისა თუ კერძო წარმოებაში მსახურობს ის, თუ სახელმწიფო, ერობის ან და თვითმართველობის დაწესებულებაში. ხსენებული კანონპროექტი ხელახლა უნდა გადამუშავდეს ამ პრინციპის მიხედვით და მხოლოდ შემდეგ უნდა გატარდეს ის დამფუძნებელ კრებაში. ამ კანონის იმ სახით მიღება, როგორც ეს იურიდიულ კომისიას სურს, იქნება არა მხოლოდ მოსამსახურეებისა, არამედ მუშებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანიზაციების ანგარიშის გაუწევლობა და უყურადღებობა. ეს საკითხი იმდენათ რთულია, რომ შეიძლება მალე საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის მოწვევაც გახდეს საჭირო, რადგან იურიდიული კომისიის შესწორება 30 000—40 000 მოსამსახურეს სტოვებს ხსენებულ კანონის გავლენის გარეშე.

შ. აბდუშელიშვილი.

---

*) ვბეჭდავთ წერილს, ვინაიდან იგი ეხება [illegible] საკითხს. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საგანს. რედ.

დამფუძნებელი კრება

2 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. ლომთათიძე.

დიპლომატიურ ლოჟაში არის ყუბანის, თერგის და დონის ოლქის დელეგაცია. თავმჯდომარე მისალმებს მათ კრების სახელით და გამოსთქვამს იმედს, რომ საქართველოს და ყუბან თერგ-დონის დემოკრატიის შორის დამყარდება მჭიდრო, ძმური, მეგობრული კავშირი. კრება დელეგაციას ოვაციას უმართავს.

გრძელდება კამათი შინ. საქ. სამინისტროს შეტევების შესახებ

ბ. გვაზავა (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ ოპოზიციის კრიტიკა ნახევრად მიუღებელია და ამბობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობას ჩვენ დაწვრილებით მაშინ შევეხებით, როცა ჩვენს წინ იქნება განხილული ბიუჯეტი. ორატორი მხარს უჭერს შემოტანილი შტატების და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებას.

კამათი სწყდება.

მომხსენებელი ამტკიცებს, რომ ოპოზიციის კრიტიკა სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ იყო მიმართული როდესაც თქვენ, ამბობს მომხსენებელი, უარყოფთ მთელ სისტემას, მაშინ თქვენ უარყოფთ ყველა იმ ფუნქციებს, რომელსაც ასრულებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეს კი ანტისახელმწიფოებრივ და ანტიდემოკრატიულ მოღვაწეობათ უნდა ჩაითვალოს. სწორედ ასე დაიწყეს ბოლშევიკებმა. მათ პირველათ გარეკეს ერობები და შემდეგ სხვა საქმეებს შეუდგნენ. მომხსენებელი სოც. ფედერალისტების და ესერების ასეთ [illegible] და წინანდელი პოზიციის უარყოფას ხსნის ბოლშევიკური ძალების მოახლოვებით. აქ განსაკუთრებით ორი სამინისტროს წინააღმდეგ მოილაშქრეს. მიწათ-მოქმედების და შინაგან საქმეთა. ეს ბუნებრივია. ამ ორ სამინისტროს აწევს მეტად დიდი მოვალეობა. პირველს უნდა გაეტარებინა აგრარული რეფორმები, რომელსაც ოპოზიცია უარყოფს და მეორეს შინაგანი სიმტკიცე, მშვიდობიანობა უნდა დაეცვა. აი ამიტომ ილაშქრებენ ისინი ამ ორ სამინისტროს წინააღმდეგ. მომხსენებელი არჩევს ყველა იმ დებულებებს, რომელნიც წამოაყენეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა და რომელსაც არ შეეხებიან, ან გაკვრით შეეხნენ სოც. დემ. ფრაქციის ორატორები.

კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

ბ. ჩხიკვიშვილის სიტყვა.

(1 მარტის სხდომაზე წარმოთქმული).

ბატონებო, კამათმა ამ საკითხის შესახებ, ამ ორი ოპოზიციონური ფრაქციის წარმომადგენლების სახით და ნალაპარაკევით, მიიღო მეტის მეტად არა სერიოზული ხასიათი. იმ მთავარ საკითხს, რისთვისაც უნდა მიექციათ ყურადღება, არ მიაქციეს და თუ მიაქციეს ზედ მეტი ცალმხრივობით განიხილეს. თუმცა ფაქტები დაასახელეს ასეთი მედიდური პათოსით და მაღალი ლაპარაკით, როგორც ილაპარაკა ბ. ნუცუბიძემ, ლოღიკით და ელეგანტურად ნათქვამი სიტყვებით, მაგრამ ვინც ადევნებდა თვალ-ყურს იმათ მოყვანილ მოსაზრებებს და გაუწევდა სწორედ ანგარიშს მათ მიუდგომელ და ობიექტურ თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ აქ ეს გამოსვლა გამოწვეულია იმით, რომ აქ, დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდან, პარტიული კინკლაობა აწარმოვეს. თუმცა ისინი თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენის არიან. მაგრამ პირდაპირ არა სერიოზულად ეპყრობიან საქმეს.

ჩვენს ზოგიერთ ოპოზიციის წარმომადგენელს დაუსაბუთებელი ფაქტებიც ფაქტი ჰგონია, ფაქტებს უწოდებს. სინამდვილეში ეს ფაქტები არ არის. დაუმტკიცეთ და ის თავისას იძახის.

ბ. დადიანმა უკანასკნელ სხდომაზედ დამფუძნებელი კრებისა განაცხადა, რომ, მე რომ ფაქტები დავასახელე, მერე ხომ მართალი აღმოჩნდა ის ფაქტებიო. მე მესმის, როდესაც მოლაპარაკე [illegible] ცალმხრივია, რადგანაც ადამიანია, გინდაც დამფუძნებელი კრების წევრიც იყოს, ცალმხრივია, რადგანაც მას შეეხება საქმე, მაგრამ რომ ასე [illegible] უწოდო, უსირცხვილოთ, იმას, რაც უკვე გამოსაძიებელია, და გაზვიადებული, უწოდო ფაქტი, ეს ჩვენის რწმენით დაუშვებელია დამფუძნებელი კრების წევრისათვის.

ერთ ერთ სხდომაზედ, რომ ს. დ. კომისრები კი არა, პროპაგანდისტებიც ხოცავენ ხალხსო, რომ კომისრები ხოცავენ ხალხს, დაშინებულებს სისხლის სამართალში და პასუხის გებაში არავინ აძლევსო, პასუხს არავინა სთხოვსო.

მე არ [illegible] ამ სხდომაზე, მაგრამ ვიცი, რომ დამფუძნებელ კრების წევრმა ლ. ნათაძემ მოითხოვა დაისაჯელებინა ის კაცები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, კანონი დაარღვიეს, არ მისცეს სასამართლოში და ისე დადიან—წულუკიძე და კარტოზია. (შენგელაია—ოხრანკის წევრები არიანო!) დამფუძნებელ წევრის ღირსებას არ შეეფერება ეს, ამას ადგილი არ უნდა ქონდეს აქ, თუ რამის დამტკიცება გინდათ—პრესაში უნდა სთქვათ, რომ იმ პირებს, რომლებსაც ცილს სწამებთ, პასუხის გებაში შეეძლოთ თქვენი მიცემა. თქვენ სარგებლობთ ამ ტრიბუნით, რომ ვინმეს წინააღმდეგ შური იძიოთ და პასუხი არ აგოთ. ეს არ შეეფერება დამფუძნებელ წევრის ღირსებას. (ს. დადიანი—პრესაშიაც იყო წერილი!)

მე არ მინდა მეტი საბუთის მოყვანა. ბ. დადიანო, კარტოზიას რომ 3 წლის ციხე, ღირსების აყრა და გამასწორებელ რაზმში მისცეს, რას ამბობ? ეს მხოლოდ იმას ამბობს, რომ კარტოზიას დანაშაული ჩაიდინა და პასუხის გებაშიც მიეცათ. მე ფაქტი მინდა მოგახსენოთ, სირცხვილია ფაქტების დამახინჯება (ხმაურობა, ს. დადიანი—პასუხისგებაში ჩემი განცხადების შემდეგ მიეცა!).

თავმჯდომარე — გთხოვთ დაწყნარდეთ, ნუ უშლით ორატორს.

ბ ჩხიკვიშვილი—მე ვაცხადებ დამფუძნებელ კრების წინაშე, რომ იგი წინათვე იყო მიცემული სასამართლოში. როცა დადიანი ამბობდა ამას, მაშინ იგი საავადმყოფოში იყო, პასუხის გებაშიც მაშინ მიცემული იყო და საბრალდებულო ოქმიც მას ქონდა ჩაბარებული.

ბატონებო! მეორე დანაშაულობა ასეთი იყო: დავუშვათ რომ მიხეილ წულუკიძემ დანაშაულობა ჩაიდინა, ამის გამო მას საბრალდებულო ოქმი ჩაბარებული ქონდა, მაგრამ მისი საქმე სასამართლოში არ ვიცით როგორ გათავდა.

მაგრამ როცა დამფუძნებელ კრების წევრი გამოდის აქ, რომ სოც. დემოკრატები ამას შვრებიან და პასუხს არ აგებენო, ეს სირცხვილია და ასეთი სიცრუებით არ უნდა გამოხვიდეთ ამ ტრიბუნაზე და არ უნდა იკადროთ იმის დამტკიცებას, რის დამტკიცებაც არ შეგიძლიათ. მაგრამ ბატონი დადიანის, ნუცუბიძის და საერთოდ სოც.-ფედ. ფრაქციის შესახებ ამ გამოსვლის გამო ერთი რამ უნდა ვსთქვა იმ კვალიფიკაციის, იმ შეფასების შემდეგ, რომელიც მათ გაუკეთეს შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებას ამ მკაცრი კრიტიკის შემდეგ. დაიჯერეთ რომ ისინი დარწმუნებულნი არიან ამაში, რომ ეს უწყება ამდენ დანაშაულობათა ბუდეა. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენში შინაგან საქმეთა სამინისტრო გონიერ მოქმედებით დემოკრატიულ წყობილებას აშენებდეს, მან შელახა ყოველგვარი წმინდათა წმინდა დემოკრატიისა. ჩვენ გვაქვს თავისუფლება მრავალგვარი—ბეჭდვის, სიტყვის, წერის, პიროვნების და სხ. და ეს ყოველივე შინ. საქ. სამინისტროს მეოხებით არის შელახული. შემდეგ ბ. ნუცუბიძე ამბობდა, რომ ჩვენში პიროვნების თავისუფლება გათელილია, და ამას სჩადის ჩვენი დემოკრატიული სამინისტრო. რაც სთქვა შემდეგ იმ აზრებს აღარ გავიმეორებ.

მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამის შემდეგ რაც მან ილაპარაკა, ლოღიკურად უნდა მოქცეულიყო კრედიტის მიცემის შესახებაც. როდესაც ბ. ილია ნუცუბიძე ამბობს, შინ. საქ. სამინისტრო არის წამების, დატუსაღების და ტანჯვის სამინისტროა, იგი არ მომწონს და არც კრედიტს მივცემ, მართალია ეს, თუ არაა, ეს სხვა საკითხია, ყოველ შემთხვევაში ეს ლოღიკური აზრია; მაგრამ როდესაც პროფ. ნუცუბიძე იმასვე ამბობს და დასკვნა კი სხვა გამოყავს, ეს ულოღიკობაა. ყოველ შემთხვევაში სოც.-ფედერ. ფრაქცია უფრო ლოღიკური უნდა ყოფილიყო! (გვაზავა—რათა?)

ან სთქვით ლოღიკურად ის, რაც სთქვეს ესერებმა და თუ არა, რატომ [illegible] ნავს ასეთი გამოსვლის [illegible] შესაბამი დასკვნის გამოყვანა? მე მგონია, რომ ეს ულოღიკობა შეიძლება ახალი ორიენტაციით იყოს გამოწვეული. (ს. მდივანი—თქვენი მოქმედება როგორია..) ბ. მდივანო, მე ვხედავ როგორ წითლდებით, როდესაც სოც.-ფედ. წარმომადგენელი ლაპარაკობდა. (ს. მდივანი—მე თქვენ ლაპარაკზე და უხეირო მოქმედებაზე ვწითლდებოდი!)

ბ. დადიანი მართალია ცხარე ტემპერამენტის კაცია, ანგარიშს არ უწევს იმას, როცა ლაპარაკობს და ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ის ფრაქციის წარმომადგენელია და არ უნდა თქვას ის, რაც ფრაქციის პასუხისმგებელ წევრებს სიწითლეს მოჰგვრის (ხმაურობაა, ხმა: ტყუილია.)

როცა შალვა ნუცუბიძე გამოვიდა, მე მეგონა, საქმეს გამოასწორებდა, შეუთითებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დადებით მხარეებზე, მაგრამ მანაც ვერ დაინახა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობაში ეს დადებითი მხარეები, ვერც ერთი დადებითი მხარე. (ეგნატაშვილი—ეს თქვენი ამბავია!) შ. ნუცუბიძემ განაცხადა, რომ ვეთანხმები ჩემს მოგვარეს ილია ნუცუბიძესო, (შ. ნუცუბიძე—მაგრამ არ მითქვამს). მართალია ასე არ გითქვამთ, მაგრამ აზრი ეს იყო, რომ ეთანხმებით მის ოპოზიციას. ვინ შეუნარჩუნა საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსება? ვინ იხსნა ის [illegible] დარბევისაგან? (შენგელაია—სომხეთი და აზერბაიჯანს ვინ შეუნარჩუნა?) ხელს ნუ მიშლით! (ეგნატაშვილი—კავკასიონის ქედი ვინ ააშენა? სიცილი). იმ მოღვაწეობის შესახებ მოგახსენებთ, ბატონებო, რომელზედაც მიგითითეთ აქ წარსულ კრებაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა და მისმა ამხანაგმა ცოტა თუ ბევრ ვრცლად ილაპარაკეს. აქ ერთ-ერთმა ოპოზიციის ფრაქციის წევრმა სოც. რევოლუციონერმა, იმდენად გაკადნიერდა, რომ განაცხადა, რომ ის არეულობა, ანარქია და აჯანყება კი არ იყო, ეს სიმულაცია იყო სამინისტროს მიერ მოწყობილი, იმისთვის, რომ [illegible] ქვეყნისთვის—რამეს ვაკეთებთ და მერე კრედიტები მიეღოთ, არ უთქვამს [illegible], მაგრამ მისი სიტყვიდან ეს გამოდიოდა. (ლ. შენგელაია—ომში რომ ბრძანდებოდით რამდენი დახარჯეთ?) არ მახსოვს, მაგრამ, რაც დავხარჯე, საქმეზე დავხარჯე, როგორც წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა. როცა ჩემზე ლაპარაკობთ კბილები მოუჭირეთ ენას. ეს შეგიძლიათ თქვათ კომისრის შესახებ, მაგრამ რესპუბლიკის პასუხისმგებელ პირის შესახებ კი არ შეგიძლიათ. (ს. დადიანი—უფრო უკეთ ვიტყვით, თუ დანაშაულს ჩაიდენთ!) ის რაც სთქვა ესერების პარტიის წარმომადგენელმა, მას დაეთანხმა პროფესორმა შალვა ნუცუბიძე სოციალისტ ფედერალისტთა ფრაქციის სახელით. მე თქვენ გეკითხებით: ეს მართლა გულწრფელი აზრი იყო, თუ თვალთმაქცობა? მათ გონიათ ალბათ, რომ ვინმე გაიგონებს მათ ასეთ კრიტიკას და დაუჯერებს. ასე მგონია, თორემ იმას, ვისაც ახსოვს ჩვენი წინანდელი მდგომარეობა და ის, რაც ხდებოდა ამ 2 წლის წინათ—ანარქია, [illegible], აჯანყებები, საქართველოს მტრების და ნაძირალების მიერ, რომ ყოველივე ეს ამ ხალხს დაინახოს, არ იტყოდნენ იმას, რაც აქ სთქვეს. უკაცრავათ ვარ, მაგრამ საბუთი მაქვს ვსთქვა, რომ მათ დაატყდათ თავს ერთი უბედური იუპიტერისა, რომელიც ვისაც გაუწყრებოდა, ჭკუას წაართმევდა.

მაგრამ მე მგონია, რომ ეს არ არის გულწრფელი კრიტიკა, ეს არის თვალთმაქცობა (შ. ნუცუბიძე: სადღეგრძელოა!) კიდევ [illegible] ბ. ნუცუბიძე, სად ვარ, სად დავდივარ, ვისთან მივდივარ სტუმრათ, ეს ჩემი საქმეა. მე დამფუძნებელი კრების წევრი ვარ და ამ საკითხებზე ვერ მოგელაპარაკებით მე თქვენ დაგისახელებდით ერთ ერთ თქვენი ამხანაგის [illegible] ან ამ ზალაში ვიღაც სპეკულიანტის შესახებ, მაგრამ ასეთების ლაპარაკი არ შეეფერება დამფუძნებელი კრების წევრის ღირსებას. (ხმაურობაა.) (შ. ნუცუბიძე: თუ ფაქტი ხართ და სიცრუე არ არის, დაასახელეთ!) (კიდევ ხმაურობაა).

თავმჯდომარე გთხოვთ ბ. ნუცუბიძე ხელს ნუ უშლით ორატორს.

ჩხიკვიშვილი. ბ. ნუცუბიძემ დიდი დრო მოანდომა იმის მტკიცებას, რომ თურმე სოც. დემოკრატიის, პასუხისმგებელ პარტიის მართვა-გამგეობის საქმეში, სასახლეში ქონია საკუთარი ოთახი, ბიუროო. პარლამენტარულ ფრაქციას, თუ გინდათ, ის 5 წევრისაგან შესდგებოდეს, როგორც ეს არის თქვენი მოგვარის (მიმართავს შ. ნუცუბიძეს) ი. ნუცუბიძის ფრაქცია ლ. შენგელაიას მეთაურობით, არ შეიძლება რომ საკუთარი ბინა და ქაღალდი არ ქონდეს. (შ. ნუცუბიძე: ვერ გაიგეთ!) თქვენი აზრები ღრმა და ძნელი გასაგებია ბ. პროფესორო! ბ. ნუცუბიძეს უკვირს ის გარემოება, რომ პასუხისმგებელ ფრაქცია-

ში მინისტრები შედიან და ანგარიშს აძლევენ მას თავიანთი მოქმედების შესახებ, ის ამბობს: ნუ გექნებათ ამაზე იქ მსჯელობა, მოიყვანეთ აქ. დამფუძნებელ კრებაზე და აქ იმსჯელეთ. ამას თან დაუმატა ბ. ნუცუბიძემ ასეთი შეუფერებელი, არამც თუ დეპუტატისათვის, არამედ უბრალო მოქალაქისათვისაც, სიცრუე. მან სთქვა, რომ ხომერიკისათვის სოც.-დემ. ფრაქციის უნდობლობა გამოუცხადებია, აქ კი ნდობა გამოუცხადესო. სად არის, ბ. ნუცუბიძე, თქვენი ლოღიკა?—თუ ფრაქციაში უნდობლობა გამოუცხადეს, როგორ მოხდა ის, რომ დამფუძნებელ კრებაში სრული ნდობა გამოუცხადეს!—მე ვაცხადებ, რომ ბ. ნუცუბიძის განცხადება სრულებით არ შეესაბამება სინამდვილეს—ბ. ხომერიკისათვის უნდობლობა არავის გამოუცხადებია. (ხმაურობა).

თავმჯდომარე. ძნელია ასეთ ატმოსფერაში კრების გაძღოლა. ყველა ლაპარაკობთ და ამიტომ ძნელია წესრიგის დაცვა. უკვე 4 საათია, გნებავთ თუ არა კიდევ განაგრძოთ სხდომა. წინადადება გაქვთ შემოტანილი სოც.-დ. ფრაქციისაგან, რომ მოლაპარაკეებს დაესრულოს სიტყვა და კამათი გადაიდოს. ვინ არის ამის წინააღმდეგ—არავინ. მაშ ეს მიღებულია.

ჩხიკვიშვილი. ასე რომ ის, რასაც დამფუძნებელი კრების წევრი შ. ნუცუბიძე უწოდებს ქვედა პალატას, საიდუმლო ორგანიზაციას, სიმართლეს არ შეეფერება, მისი კარები ყველა პარტიის წევრებისათვის ღიაა და იქ საიდუმლო არაფერი ხდება. ყველა პარლამენტისათვის სავალდებულოა, რომ ჯერ ფრაქციებში იქნას საკითხი განხილული და შემდეგ აქ გადმოტანილი, ხოლო ის, რაც ითქმება ფრაქციაში ერის საკუთრდება, ის არ იმალება. ჩვენ ამის გამოცდილება გვაქვს, ჩვენი მოღვაწეობა დღემდე ამის თავდებია.

შემდეგ მართალია პროფესორმა ნუცუბიძემ რამდენიმე ფაქტი მოიყვანა, მაგრამ ფაქტის დამტკიცებაზე, რომ მიდგა საქმე, ის ძალიან ღარიბათ გამოვიდა (შ. ნუცუბიძე: თუ ის, რაც მე მოგიყვანეთ, არ გაკმაყოფილებთ, მაშინ რაღა დაგაკმაყოფილებთ თქვენ?) მაგის თქმა სისაძაგლეა. (ხმაურობა, ყვირილი, ისმის გაურკვეველი ხმები).

თავმჯდომარე. უკაცრავად, ბ-ნო ორატორო, მე მგონია, რომ დროა მაგისთანა სიტყვების ხმარებას თავი დაანებოთ.

ჩხიკვიშვილი: მე მხოლოდ სახელი უწოდე საქციელს. დაკმაყოფილებს თუ მას სურს, პასუხს გავცემ. აქ ლაპარაკი იყო, რომ ხოშტარია ვერ დაიჭირა ადმინისტრაციამ და სად არის მე ვიციო. შემდეგ ნუცუბიძემ სთქვა, რომ კომისარი კარში ხალხს იჭერს 5 კაცი დაიჭირაო და სხვ. ამის თქმა მარტო არ კმარა. მას უნდა ეკითხა: რისთვის იჭერს?—მიუძღვის თუ არა რამე დანაშაული იმ დაჭერილთ?—აი ასე უნდა დაესვა ბ. ნუცუბიძეს საკითხი და მაშინ ექნებოდა მის განცხადებას ფასი და მნიშვნელობა. შემდეგ ნუცუბიძე ამბობს, რომ სადღაც ქარწყალი ყოფილა, ვიღაცას ქალი შეურაცხყვეს, უპატიურობით და სხვ. ამაზე პასუხს ვერავინ ვერ მისცემს ბ. ნუცუბიძეს, რადგ შეეხება ახალციხის რაიონს. უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ის რაიონი დანიშნული იყო მთავრობის მიერ. (ნუცუბიძე მიდის) ბ. ნუცუბიძე თქვენ ცოტა მოითმინეთ, თქვენს საყურადღებოთ აქ ბევრი იქნება ნათქვამი. (ნუცუბიძე ბრუნდება, ჯდება თავის ადგილს) მთავრობამ იმიტომ დანიშნა რევიზია, რომ იქ რაღაც ბოროტ-მოქმედება იყო, ამას ყოველ მხრივ უნდოდა გამორკვევა, რომ მთავრობას გაეგო თუ რამე იყო საქმე, ხოლო სასამართლოს გამოეტანა თავისი მსჯავრი. ეს არის არა უარყოფითი მხარე მთავრობის მოღვაწეობისა, არამედ დადებითი. არამც თუ ბ. ნუცუბიძის—დეპუტატის, არამედ ყველა უბრალო მოქალაქის მოვალეობაა ამ შემთხვევაში დაუცადოს სასამართლოს და არ ესროლოს მთავრობას ტალახი. შემდეგ მოიყვანა ორი მაგალითი. ერთი ფორცხანაყანებში მოხდარა, მეორე სიღნაღში. მართლაც აღმაშფოთებელი და დაუშვებელია ეს ფაქტი, თუ მართლა მას ადგილი ჰქონდა. კაცის ორმოში ჩადება, ან თავდაღმა ჩამოკიდება, ეს წარმოუდგენელი რამ არის, ამ ფაქტის შესახებში ორი აზრი არ იქნება. ტყუილად აღელვებულა ბ. ნუცუბიძე, თითქოს ეს მის ან მისი ფრაქციის მონოპოლიას ან ეთიკურ სიმდიდრეს შეადგენდეს. როგორც ვსთქვი, აქ ორი აზრი არ არის. ეს უსაშინელესი დანაშაულია: ბ-ნო, ეს ფაქტები თუ იცოდით, სად იყავით დღემდე?—რას უცდიდით? განა თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ეს ფაქტები მინისტრმა ან მთავრობის რომელიმე წევრმა იცოდა? (გრ. ვეშაპელი: მინისტრმა უნდა იცოდეს, თვალ ყური უნდა ადევნოს თუ რა ხდება). მინისტრმა უნდა ადევნოს თვალყური ადმინისტრაციის მოქმედებას, კონტროლი და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მას იმ ძნელ მუშაობაში, რომელსაც ის აწარმოებს, მისცეს დირექტივები, დაეხმაროს ნორჩ ერობებს და ქალაქის თვითმართველობებს. შეიძლება მინისტრს გამორჩეს 5—6 დანაშაული და აქ ყველა მოქალაქე, მით უმეტეს დამფუძნებელი კრების წევრი, ვალდებულია მას დაეხმაროს აღმოაჩინოს და დამნაშავეზე მიუთითოს. ბ. ნუცუბიძემ სთქვა, რომ მეუღლე, სადღაც არის დასაჭერი პირი—ხოშტარია, მაგრამ არ ვიტყვიო. მან იცის თუ არა, რომ ამის შესახებ არსებობს კანონი, რომლის ძალით ის კათედრაზე კი არა, ციხეში უნდა იყოს? (შ. ნუცუბიძე: ქათალიკოსთან უნდა იყოს!) რას ჩააცივდით ბატონო ნუცუბიძე მაგ ქათალიკოზს, ძალიან გაწუხებთ თქვენ ეს ქათალიკოზი? მართალია ის 30 წელს ყავდათ ფედერალისტებს თავის კანდიდატათ და თუ ვერ გაიყვანეს რა ჩემი ბრალია?—მაგრამ აქ საშინელ აღმაშფოთებელ დანაშაულის მეორე მხარესაც უნდა მიაქციოთ ყურადღება. თქვენ ამბობთ ბატონებო, რომ ყველაფერი ეს მეფის კომისრის ბრალიაო. (ქ. ნინიძე: მეფე რომ არ არის?) ეს კომისრები ყველა არჩეულია ერობების მიერ. თუ რამე დანაშაული მათ არ ჩაიდინეს, როგორ შეუძლია შინაგან საქმეთა მინისტრს უთხრას ერობებს, რომ ეს და ეს კომისარი არ ვარგა, რადგანაც ძველად მოხელე ყოფილა და გამოსცვალეთო? რა უფლების ძალით უნდა ქნას ეს? ეს შეუძლია მაშინ, როცა ის კომისარი დანაშაულს ჩაიდენს.

(დასასრული იქნება).

ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

25 თებერვალს შესდგა ნაძალადევის თეატრის შენობაში პირველ რაიონულ სახალხო გვარდიის წევრთა საერთო კრება ამხ. ძამანაშვილის თავმჯდომარეობით.

შტაბის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ძამანაშვილი, რომელიც ამბობს, რომ პირველ რაიონულ გვარდიის დაარსების დღიდან პირველათ კეთდება მოხსენება შტაბის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ: უნდა სიმართლე ითქვას, აღნიშნულ ხნის განმავლობაში თანხის ანგარიში მიმდინარეობდა სისწორით, ჩვენი რაიონი ფინანსიურის სფეროში გამოვიდა სუფთად, ჩირქ მოუცხებლათ. ტანისამოსის გაცემის დროს ადგილი ჰქონდა უბრალო ტექნიკურ ხასიათის შეცდომებს, მაგრამ დღეს კანცელარია, საწყობი უკეთეს პირობებშია და ამხ. გვარდიელების დახმარებით ასეთი შეცდომებიც გამოსწორებულ იქნება. ჩვენი რაიონი თავის შემადგენლობით მუშურია—თითქმის ყველა გვარდიელი მელოსანია, საწარმოეთ დაწესებულებიდან გამოყვანილი—და როგორც ასეთი, დისციპლინა ჩვენს შორის არის ამხანაგური—ერთი ერთმანეთის პატივის ცემაზე დამყარებული და არა ძალდატანებითი... ჩვენს რაიონს ღირსეულათ უჭირავს წითელი დროშა დემოკრატიის, მუშათა კლასის საკეთილდღეოთ და მომავალშიაც დაიცავს მას. შემდეგ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი ამხ. ს. მამაცაშვილი, რომლის მოხსენებამაც ცხად ჰყო, რომ სარევიზიო კომისია სათანადოთ ყურადღებას აქცევდა შტაბის მოქმედების ყოველ მხარეს. ამხ. ს. მამაცაშვილი საბუთებით ხელში ადასტურებს შტაბის მიერ საქმის წესიერათ წარმოებას. კრებამ აღნიშნულ საკითხის შესახებ თავის რეზოლიუციაში უცხადებს სრულს ნდობას შტაბის ძველ შემადგენლობას, რომელსაც სტოვებს თავის ადგილზე. შტაბში მხოლოდ ერთს ახალ წევრს ამხ. პ. ხუბულავას—შტაბიდან გასულ ერთერთ ამხანაგის მაგიერ. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ სოსო მამაცაშვილი, მელ. მაგარაშვილი და გ. მანჯავიძე. ბოლოს კრებამ გამოსთქვა სურვილი ხშირ ხშირათ ხდებოდეს საერთო კრებები, რომელზედაც გარჩეულ იქნეს დღიური საჭირ-ბოროტო კითხვები. X.

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘ

ამ რამოდენიმე თვის წინათ ქალაქ თბილისის თვითმართველობის წინადადების თანახმათ ნაძალადევში შესდგა სანიტარული სამზრუნველო, რომლის თავმჯდომარეთ დანიშნულ იქნა გ. კანდელაკი პირველ სხდომაზე სანიტარულმა სამზრუნველომ გაჰყო მთელი ნაძალადევის რაიონი ოთხ ნაწილად და ამის და მიხედვით გამოჰყო თავისი შემადგენლობიდან ოთხი კომისია, რომლებსაც თვალ-ყური უნდა ედევნებინათ თავ-თავის ნაწილების სისუფთავისთვის და მცხოვრებლებისადმი რჩევა-დარიგებით მოესპო არსებული ანტი-სანიტარული მდგომარეობა.

ეს კომისიები არჩევიდანვე ენერგიულათ შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას და თითქმის ყოველ კვირაში დღე დადიოდნენ, ათვალიერებდენ ქუჩებსა და ეზოებს და წინადადებას აძლევდენ მოქალაქეებს დაეცვათ სისუფთავე.

ნაძალადევის სანიტარ. სამზრუნველოს თავმჯდომარე ყოველ კრებაზე აყენებდა ამ კითხვას სამზრუნველო თავმჯდომარეების საბჭოში და საბჭოც თავისი დადგენილებებით მხარს უჭერდა მას, მაგრამ ეს რჩებოდა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა".

და ბოლოს, ნაძალადევის სანიტარულმა სამზრუნველომ გადასწყვიტა თავისი თავმჯდომარის საშუალებით მიემართა პირდაპირ ქალაქის მოურავისთვის და ეთხოვნა ამ საქმის მოგვარება. ქალაქის მოურავმა, მოისმინა რა მოხსენება, მოისურვა პირადად თვითონ დაეთვალიერებინა ნაძალადევის რაიონი და 3 თებერვალს ინჟ ბ. შენგელიძის თანხლებით კიდევაც ესტუმრა ნაძალადევს, დაათვალიერა უმთავრესი ქუჩები. მოურავი შეპირდა სამზრუნველოს, რომ ის გასცემს განკარგულებას დაიდგან იმ ქუჩებზე, სადაც ტრამვაის ლიანდაგი გადის, ხუთი დიდი ყუთი, რომლებშიდაც მცხოვრებლები ჩაყრიან ნაგავს. აქედან კი ქალაქი გაატანინებს ნაგავს ტრამვაის ვაგონის საშუალებით. რაც შეეხება ყველა ქუჩებში წყლის გაყვანას, ეს ახლანდელ პირობებში მილების უქონლობის გამო ყოვლად შეუძლებელია და მცხოვრებლებიც უნდა შეურიგდნენ ამ მდგომარეობას. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქალაქის მოურავი დაჰპირდა იურიევისა და ტულის ქუჩების შემაერთებელ ხიდის გაკეთებას ახლო მომავალში და ჩვენ სრული იმედი გვაქვს ის თავის დაპირებას შეასრულებს. მცხოვრებლებს კი მივმართავთ და ვეტყვით: „გაზაფხული შორს არ არის და ყოველგვარი სენის თავიდან ასაცილებლად დაიცავით სისუფთავე"! X.

Ს.-Დ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თბილისი. 24 თებერვალს ორთაჭალის მუშათა კლუბში შესდგა მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. ინწკირველი, მდივნობდა დ. ბუაჩიძე. განსახილველი იყო: 1) მოხსენება კოლექტივისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა და 3) არჩევნები.

პირველ კითხვაზე კოლექტივის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ინწკირველი. იგი აცნობს კრებას კოლექტივის მუშაობას იდეურ, კულტურულ და ფინანსიურ სფეროებში. ნაყოფიერი მუშაობისათვის გამოყოფილ იქნა კომისიები: საორგანიზაციო, საფინანსო და კულტურულ განმანათლებელი. პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად კოლექტივში დაარსდა მე 4 და მე 5 სამილიციო უბნებში მცირე კოლექტივები. მართავდა მოხსენებებს. დაარსებულ იქნა მცირე მუშათა კლუბი მე-4 სამილიციო უბანში და აგრეთვე უბინაობით შევიწროებულ ჩვენი რაიონის ორგანიზაციებს (კოლექტივი, მცირე კოლექტივი, ქალთა ორგანიზაცია და სხვ.) კლუბის დაბალ სართულში მიუჩინა შესაფერი ოთახები. კლუბებთან არსებობს სამკითხველოები, სადაც ყოველ დღე მიდის ჩვენი პარტიული გაზეთები. შემდეგ მომხსენებელი ეხება კოლექტივის ფინანსიურ მხარეს და აღნიშნავს, რომ ხარჯი არ იყო მარტო საწევრო გადასახადი, რადგანაც იგი ძალზე მცირეა. ამიტომ კოლექტივი მართავდა ფასიან ლექციებს და წარმოდგენებს, ავრცელებდა პარტიის წევრთა შორის [illegible] ცალ პარტიულ გაზეთებს და სხვ. ამრიგად ფინანსიური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. კასის მდგომარეობა ამა წლის პირველ იანვრისთვის გამოიხატებოდა შემდეგ ციფრებით: შემოსავალი 38,301 მ. 02 კ. გასავალი: 31,400 მ 14 კ. დარჩა კასაში 6,900 მ. 88 კ.

შემდეგ სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებენ ამხ. მ ტერელაძე და ამხ. რ. გრიგოლოვი. პირველიც და მეორეც ადასტურებენ კოლექტივის დამაკმაყოფილებელ მუშაობას.

კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: გამოეცხადოს კოლექტივს მადლობა ნაყოფიერი მუშაობისათვის; ხოლო სარევიზიო კომისიას ეთხოვოს გამოარკვიოს ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი სამი თვის ანგარიშები და გააკეთოს მოხსენება მომავალ კრებაზე.

დასასრულ ხდება არჩევნები. არჩეულნი: თბილისის კომიტეტში ი. ირემაშვილი, კანდიდატათ მ. ტერელაძე; კოლექტივში: ვ. ინწკირველი, ვ. ალიხანოვი, დ. ბუაჩიძე, რ. გრიგოლაშვილი, მ. ტერელაძე, ა. სარქისოვი, მ. ნაჟარაძე, გ. პირველი, ვ. გოგინაშვილი, ი. შუბლაძე, ა. რამიშაძე; მათ კანდიდატებათ: დ. პაპიაშვილი, ვ. ჯორჯიაშვილი, გ. ოძელაშვილი, ა. ფუშკიძე; სარევიზიო კომისიაში: ვ. ათაბეგოვი, ო. სოლოღაშვილი, ვ. ხელაძე; კანდიდატათ მენთეშაშვილი. დ. ბუაჩიძე.

თბილისი. 8 მარტს შესდგა ს. ს. დ. პარ. პირველ რაიონულ განაპირებულ კოლექტივის წევრთა კრება. 21 წევრიდან არ დაესწრო ამხ. ივ. ნიკურაძე და ნ. ჯიბლაძე. კრებას დაესწრენ აგრეთვე ძველი წევრებიც. პირველათ არჩეულ იქნენ პრეზიდიუმის წევრები: თავმჯდომარეთ გიორგი ბიბუძე, ამხანაგებათ: გალაქტიონ შელიძე და მიხა ძამანაშვილი.

კულტურ. განმანათლებელ კომისიაში: 1) ს. დოლიძე, 2) ქ. ქუთათელაძე, 3) რ. სოლუქვაძე საგამომძიებლო კომისიაში: 1) ი. მანჯგალაძე, 2) თ მეგრელიშვილი, 3) დ. ლორთქიფანიძე. რეგლამენტის შემუშავება მიენდო პრეზიდიუმს შემდეგ მორიგ კრებაზე წარმოსადგენათ. დანარჩენი დღიურ წესრიგში აღნიშნული კითხვები გადაიდო შემდეგ მორიგ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია ხუთშაბათს, 11 მარტს საღამოს 5 საათზე. მდივანი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

თბილისის მთავარი სახელოსნო. არ იქნა და არ მოიღო ბოლო ისეთ სამარცხვინო საქმეს, რომელიც ჩირქს სცხებს ყველა მუშებს. ზოგიერთი ვაგონ-ბატონების საქციელით სულ უმნიშვნელო რიცხვი მუშებისა, რომლებიც მოდიან სამუშევრათ სახელოსნოში და მის მაგიერ, რომ მუშაობა იყოს ნაყოფიერი და აკეთებდეს საქმეს, რომ თავისი ჯამაგირი მაინც გაამართოს, ეს ხალხი ფიქრობს—ჯამაგირს რკინის გზა მისთვის აძლევს, რომ თავისთვის აკეთონ სხვადასხვა კონტრაბანდები. რომელ ცეხში გინდა მიაქციეთ ყურადღება, ყველგან არის ასეთი მაგალითები. ერთხელაც არ შეკითხებიან ეს ვაგონ-ბატონები თავიანთ თავს: სულ რომ ჩვენთვის ვმუშაობთ, ნახევარი დღე მაინც ვიმუშაოთ მათთვის, ვინც ჯამაგირს გვაძლევსო.

მაგრამ რას ვამბობ, რომ ამდენი მოსაზრება ჰქონდეთ მათ, მაშინ ხომ ამ სამარცხვინო საქმესაც არ ჩაიდენდენ. ამით აიხსნება ის სამარცხვინო ჩხრეკა კარებში, როცა გამოდიან მუშაობის შემდეგ დარაჯების მხრით. კარებში ამ სამარცხვინო ჩხრეკას მიზეზი ხომ ის მცირე რიცხვი მუშებისა, რომლებიც მეტად მუშაობენ ქურდულათ და ქურდობენ. მათი ბრალია, რომ ჩხრეკენ ყველას—დამნაშავეს და უდანაშაულოს.

მაგრამ რაც ითქმის ზოგიერთ მუშებზე, იგივე ითქმის თვით ჩვენს დარაჯებზე. ყველანი ჩვენ გვჩხრეკენ, მაგრამ საკითხავია: ვინ ჩხრეკს მათ. მიუხედავათ იმისა, რომ მათ მოვალეობას შეადგენს მუშაობის შემდეგ უდარაჯონ ყველაფერს, რომ არაფერი დაიკარგოს და ბეჯითად იყონ თავიანთ საქმეზე, როგორც მე გადმომცეს, შემთხვევით სამჭედლოს ცეხში გავლის დროს წავაწყდი ჩხრეკას. ვკითხე რა ამბავია, რომ ჩხრეკავენ,—ჩემმა ნაცნობმა მითხრა ლევდი დაიკარგა და იმას ეძებენო. მერე როგორ დაიკარგა, დარაჯი არ ჰყავს ამ თქვენ ცეხს? აბა რა ვიცი, დარაჯიც ჰყავს და ყველაფერიც, მაგრამ ქურდობა მაინც არისო. ამას უნდა დავუმატო შემდეგი ჩემი თვალით ნახული: 26 თებერვალს ვიყავი დიდუბეში, საღამოს, დაახლოვებით 8 საათზე რომ შემოვედი ხიდზე, ხბორის ცეხის გვერდით ვნახეთ შემომესმა რაღაც მტვრევა, მეც აჩქარდი, მივედი დარაჯის ბინის წინ, ამტვრევენ შეშას, მეც ვუცქერი ზევიდან. რომ გაათავა, მერე წავიდა, აიღო „ბუდკის" გვერდით ახალი ფიცარი სიგრძით დაახლოვებით 2 ნახ. არშინი და რომ დაუდო რელსზე თავი და ის იყო უნდა მოექნია ბუფერი, ველარ მოვითმინე და მივაძახე: კაცო, რას ჩადიხარ, არ გრცხვენია, რიღას დარაჯი ხარ. მაგისთანა ახალ მასალას ამტვრევ განა მაგისთვის გაძლევენ სადარაჯო ჯამაგირს. ამის გაგონებაზე შეჩერდა და გადადო ფიცარი და მე წამოვედი. მერე ვეცადე გამეგო მისი ვინაობა, მაგრამ ვერ გავიგე. ასეთი საქციელი დასაგმობია. იმედია ჩვენი მუშების დიდი უმრავლესობა ხედავს ყოველივე ამ არა ადამიანურ საქციელს, რითაც რამოდენიმე პირის წყალობით ხდება ის სამარცხვინო ჩხრეკა კარებში, აგრეთვე სამჭედლოს გაჩხრეკა. საჭიროა ყველა მუშებმა მოსთხოვონ ასეთ პირებს პასუხი. ძირელი.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ლანჩხუთი ლანჩხუთში ნ. ჟორდანიას სახელობაზე გაიხსნა სამეურნეო სასწავლებელი. მთავრობამ ამ სასწავლებლისთვის პირველად საქმის მოსაწყობად გადასდო 300 ათას მანეთზე მეტიც, მაგრამ თუ ხალხმა არ შეუწყო ხელი, ეს ფული წყალთა ზედაში. ხალხის მიერ უკვე შეძენილია 80 ქცევა მიწა. ამ მიწის დასაშენებლად გაწმენდა უკულტურო და მავნე მცენარეებისაგან, რამაც დიდი ხარჯები მოითხოვა. ამიტომ მოწინავე ინტელიგენტები ქალაქის გამგეობასთან ერთად შეეცადნენ ამ საქმის უზრუნველ მოგვარებას. წარსულ კვირას მოუწოდეს ხალხს ყველა კუთხეებიდან, რომ თავიანთი სამუშაო იარაღით გამოსულიყო და საერთო საქმისთვის ემუშავნათ. ხალხი დიდი ხალისით გამოვიდა ყველა კუთხიდან. დილის 8 საათიდან იწყო ხალხმა დენა დანიშნულ ადგილას. აგრონომის და ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით გაჩაღდა ერთსულოვანი მუშაობა. ამ მუშაობამ რამოდენიმე ათასი მანეთის დახარჯვა აგვაცილა. განზრახულია ამავე სასწავლებლისთვის კიდევ ასეთივე მუშაობის მოწყობა. ქალაქის ფარგლებში გზების გაფართოებაც მოხდება ასეთივე წესით. პუნქტი.

თელავი. არასოდეს არ ყოფილა ისეთი გამწვავებული დამოკიდებულება მრევლსა და სასულიერო პირთა შორის როგორც არის დღეს თელავის მაზრაში. დღე ისე არ გავა, რომ ან მრევლი არ მოვიდეს თელავის მაზრის ერობაში საჩივრით თავის მღვდელზე, ან მღვდელი მრევლზე. უჩივიან ერთმანეთს და გადაჰქრით მოითხოვენ სამართალს. მაგრამ ერობის გამგეობას არ შეუძლია თავის თავზე მიიღოს ასეთი საჩივრების გარჩევა, არ უნდა მას ჩაერიოს სარწმუნოების საკითხში და ეს გარემოება, აშკარაა, ორივე მხარის უკმაყოფილებას იწვევს.

მრევლსა და სასულიერო წოდების შორის ატეხილი დავა ორი უმთავრესი მიზეზით არის გამოწვეული. პირველი მიზეზი—ეს არის სასულიერო წოდების ჯილდოს განსაზღვრა და მეორე მიზეზი კი უფრო უჩვეულო ხასიათის არის. მღვდლის ჯილდოს განსაზღვრის საკითხი ამ უკანასკნელ დროს მით უფრო გამწვავდა, რომ ყველა მღვდელი მსახურების აღსრულების დროს ფასს აწერენ ხალხს და ერთი ასად ადიდებენ ჯილდოს. მაგალითად, ჯვრის დაწერა 300—500 მანეთამდე გახდება. მიცვალებულის დასაფლავების დროს წინ გაძღოლა 250 მან.—300 მანეთამდე და სხვ. თუ გლეხს მოუკვდა ვინმე და მას გადახდილი არა აქვს „დრამა", მღვდელი სანამ „დრამასაც" და წინ გასაძღოლსაც ერთად არ მიიღებს, მიცვალებულს ახლოსაც არ გაეკარება.

რომ მრევლსა და მღვდელს შორის დამოკიდებულება გამორკვეულიყო, რომ მათ შორის მუდმივი აღრიალი, ჩხუბი და უსიამოვნებები არ ყოფილიყო, თემების საბჭოთა ყრილობებზე გამომუშავებულიყო გარკვეული ნორმა ჯილდოსი. ზოგ ადგილას მღვდლები დაეთანხმნენ გამომუშავებულ ნორმას, მაგრამ ბევრ ადგილას მღვდლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. როდესაც ამ მღვდლებზე არავითარმა მოლაპარაკებამ არ გასჭრა, თემებმა სხვა მღვდლები მოძებნეს და მათთან შეკრეს ხელშეკრულება. ამით, აშკარაა, საქმე დაითავდებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში საქმეში ერევა ხოლმე მაზრის სამღვდელოების უფროსი ეპისკოპოზი პიროსი, რომელიც თემის, ანუ მრევლის მიერ ამორჩეულ მღვდელს ნებას არ აძლევს ემსახუროს მრევლს. აი, აქ იმართება აურზაური, [illegible], როგორც გაძევებული მღვდლები, ისე თემები და ორივე მხარე ერობის გამგეობაში შემოდიან საჩივრებით. მრევლი ამბობს, რომ მას ძველ დროშიაც ჰქონდა უფლება მღვდლის არჩევის და მით უმეტეს დღეს უნდა ჰქონდეს ამის უფლებაო. ეპისკოპოსი პიროსი თავისას გაიძახის და ამბობს, რომ მრევლს სწორედ ის მღვდელი უნდა ჰყავდეს, რომელსაც მე დავნიშნავო. ამ ნიადაგზე მრევლისა და ეპისკოპოს პიროსის მორიგება ყოვლად შეუძლებელი ხდება. ეს ორი წელიწადია, რაც ძველი გავაზის თემს მღვდელი აღარ ჰყავს, რადგან წინანდელი მღვდელი გიუნაშვილი მრევლმა დაითხოვა და მაგიერის მოწვევის უფლება კი ეპისკოპ პიროსმა აღარ მისცა. ასეთივე მაგალითია კურდღელაურში, გულგულაში, შალაურში და სხვაგან. ყველაზე უფრო კითხვა გამწვავდა კურდღელაურის მღვდლის ღვინიაშვილის მოთმინებიდან გამოსულმა მრევლმა კატეგორიული უარი განაცხადა ღვინიაშვილის მიღებაზე. ამ საქმეზე 300 კაცი მეტი მოვიდა თელავის სამაზრო ერობაში თხოვნით, რომ [illegible] ღვინიაშვილი მოეშორებინათ თავიდან. მღვდელი ღვინიაშვილი არავითარ საშუალებას არ ერიდება, ოღონდ კი როგორმე თავისი გაიყვანოს.

ამას წინათ „საქართველოში" მოთავსებული იყო ცნობა, თითქოს მღვდელი ღვინიაშვილი თავის მრევლიდან გამოეძევებინოს სოციალ-დემოკრატ გიო ლაზარიაშვილს და ეკლესიის კარებიც სოც. დემ. გიო ლაზარიაშვილს დაეკეტოს. მღვდელი ღვინიაშვილი მრევლმა დაითხოვა და ეკლესიის კარებიც მრევლისავე თხოვნით დაეკეტა კურდღელაურის თემის გამგეობამ, რომ ეკლესიის ქონება არ დაკარგულიყო. X.

ᲤᲝᲡᲢᲐ

ერისტო კაპარაძეს. გაზეთი ფოსტით გეგზავნებათ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ექიმი
Ნ. Დ. ᲪᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს ტელ. 14—13. 119—თ.)

ექიმი
დამ. კოხტ, მე ვრისთავე
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ.
სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 581)

ექიმი ა. დიმენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების: ჰეპების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Დ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებების ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩუბინაშვილის ქუჩა № 37, [illegible] ახლო.

ექიმი
Პ. Გ. ᲛᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘ
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ხერსონის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
Ბ. Ზ. ᲛᲔᲒᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფილტვების აპარატი—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 23, ტელეფ. 7—63. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქიმობს უფასოთ. (თ. 636

ექიმი
Გ. Ი. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—6 საათამდე, გარდა კვირისა. [illegible] ქუჩა № 74. ბინა № 1. [illegible] ახლო. (249)

ექიმი [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებების ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პრ-ტ № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ბაქტერიოლოგი
ქალი ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და [illegible], ქლექის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაცილით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში. (კუ. 60)

კერძო სამკურნალო
ექ. ᲓᲝᲜᲮᲘᲜᲘᲡᲐ
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-თეატრ „ამირანის" გვერდით). ყოველგვარი სნეულებებით ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები
(თ. 218)

თვალის ექიმი
Ს. Შ. ᲪᲮᲕᲔᲓᲐᲫᲔ
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. [illegible] ქუჩა № 11. [illegible] ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 3322)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და კანი ვენერიული (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა ვ. რუხაძისა, [illegible] შესახვევი № 1.